# ლელო

№ 29
(11 178)

15 – 17 აპრილი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## SOS

## კატათაგვობანა კალათბურთის სასახლეში

### ანუ როგორ აბურთავეს მსაჯი დინამოელებმა

ნამდვილად წარმოუდგენელი ამბები ხდება ჩვენს თავს. იყო დრო, როცა საყოველთაო ფსიქოზმა ქვეყანა თავზე დაგვანგრია, ახლა იგივე მეორდება სპორტში, კერძოდ, კალათბურთში. „ვითა“ — „დინამოს“ ნახევარფინალურ მატჩში, დინამოელ სპორტსმენთა თავგასულობამ ზნეობის ზღვარი გიგანტური ნაბიჯით გადალახა და ის, რაც მოედანზე ვერ შეძლო პატიოსან პაექრობაში, ყველაფერი მსაჯს გადააბრალა და ჯავრიც ისე იყარა, ყველა სახტად დატოვა. დინამოელებმა ჯერ მოედანზე ცემეს მსაჯი გია მოლოდინაშვილი, შემდეგ, როცა ეს უკანასკნელი თავის საშველად ტრიბუნებზე ავარდა, გამძვინვარებული გუნდის გულშემატკივრებმა აბურთავეს. ცხადია ამ ინციდენტმა სათანადო კვალი დაამჩნია მსაჯის სხეულს, ალბათ, სულსაც. როგორც შევიტყვეთ, ყბაც ჰქონია მონგრეული და საავადმყოფოში მოუთავსებიათ.

იმავე დღეს შეიკრიბა ფედერაციის სადისციპლინო კომისია და ჩხუბისთავებს კახა შენგელიას და ირაკლი ხოშტარიას სეზონის ბოლომდე აუკრძალეს თამაში და ერთი წლით პირობითი დისკვალიფიკაცია მისცეს. ამასთან, თითოეულს 200-200 ლარი ჯარიმა დააკისრეს.

აქვე არ შეიძლება არ ვიკითხოთ, არის კი ეს სასჯელი იმის ადეკვატური, რა ფიზიკური და მორალური ზარალიც მსაჯს და, საერთოდ, ეროვნული კალათბურთის ღირსებას მიაყენეს? იმას არ ვამტკიცებთ, რომ მხოლოდ სანქციები უნდა ყოფილიყო უფრო მკაცრი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ასეთი ექსცესების გამომწვევი მიზეზების შესწავლა-გაანალიზება, თორემ სეზონის მიწურულს, ყველას შეუძლია 200 ლარად ვიზედაც სურს იმაზე იყაროს გულისჯავრი, იქნებ მთელი წლის ნაგროვებიც. აი, ამაზეც უნდა დავფიქრდეთ. ადრე ასეთ უმსგავსოებას გუნდში მორალურ-ნებელობითი და აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტებით ხსნიდნენ. დღეს, რაც გნებავთ ის დაარქვით, მაგრამ რაღაც რომ მოსაფიქრებელია, ცხადია, მით უფრო, შარშანდელ ამბებსაც თუ გავიხსენებთ.

მიმომხილველი

იხ. მე-3 გვ.



## შოთა ჰოლანდიის ჩემპიონია

მას შემდეგ, რაც ჰოლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატის XXX ტურში „აიაქსმა“ ანგარიშით 7-2 დაამარცხა „ჰერენვენი“, ხოლო მისმა უშუალო მდევარმა „ეინდჰოვენმა“ მარცხი განიცადა „სპარტასთან“ 1-3, მორტენ ოლსენის გუნდმა 80 ქულით გათამაშების დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე უძლიერესის ტიტული მოიპოვა.

ამრიგად, ვლადიკავკაზის „ალანიას“ შემდეგ ამსტერდამული კლუბი მეორეა, სადაც ქართველი ფეხბურთელები უცხო ქვეყნის ჩემპიონები ხდებიან. ვულოცავთ რა შოთა არველაძეს ამ საპატიო ტიტულის მოპოვებას, იმედს გამოვთქვამთ, რომ შვეიცარიის „გრასჰოპერსიც“ „აიაქსის“ მაგალითს გაიმეორებს. თუ ასე მოხდა, ჩემპიონთა ლიგაში ამ შემოდგომით შოთას გარდა ქართველთა ლაშქარს გიორგი ნემსაძე და მიხეილ ყაველაშვილიც შეემატება. „კიეველი“ კახი კალაძეც ხომ უკვე თითქმის უკრაინის ჩემპიონია!



საქართველოს თასი • პირველი ნახევარფინალი

„დინამო“ ბათუმი — „უნივერსიტეტი“ თბილისი 1-0

განმეორებითი მატჩები — 26 აპრილს

## გორმა ააგორა

### დინამო (თბილისი) — დილა (გორი) 1–2

*დინამო:* გ. ჭანტურია, ქემოკლიძე, ჭელაძე (გუჩუა, 46), დიდავა, ცქიტიშვილი, პეტრიაშვილი (წიტაიშვილი, 42), კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი, ხომერიკი (ბურდული, 65).

*დილა:* გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, შატაკიშვილი (ბ. ჩიტაია, 76), ციცქიშვილი (წკრიალაშვილი, 58), მარღიშვილი (მარეხაშვილი, 82), ხორგუაშვილი, გ. ჩიტაია.

*გოლი:* მუჯირი (8), მარღიშვილი (25), შატაკიშვილი (40).

*გააფრთხილეს:* ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, შატაკიშვილი.

*მსაჯი:* ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

თითქმის ყველა საფეხბურთო ქვეყანაში სათასო მატჩებს განსაკუთრებული არაორდინალურობა სჩვევია — ჩვენთან ასეთ ტრადიციას პირი არ უჩანდა და რვა წლის შემდეგ პირველი პრეცენდენტი გორელებმა გვაჩუქეს. იმ გორელებმა, რომლებიც ეროვნულ სტადიონზე კაცურ თამაშს ზეობდნენ — არ შეუშინდნენ თბილისის „დინამოს“, არც ყბადაღებული პირველი გოლის ფაქტორს. „დინამო“ კი ისეთი განწყობით გამოვიდა, როგორც თითქმის ყველა ჩვენს საჩემპიონატო თუ სათასო შეხვედრაზე, რისთვისაც სათანადოდ დაისაჯა — ფსიქოლოგიური ფაქტორი მართლაც უმნიშვნელოვანესი გამოდგა.

მას შემდეგ, რაც მუჯირმა ჩვეული სტილით შედეგიანად გაისროლა გორელთა კარის „ცხრიანში“, „დინამოს“ კვლავ შეეძლო იმავე მუჯირის კიდევ ერთი შორეული დარტყმით გაეხარებინა თავისი მცირერიცხოვანი გულშემატკივრები, მაგრამ მერე „დილას“ ჯერი დადგა, რომელიც თანდათანობით ათანაბრებდა, ალაგებდა თამაშს. ანგარიშის გათანაბრებამდე ბალაშვილმა მძლავრი საჯარიმოთი სცადა გ. ჭანტურიას შეწუხება, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. გოლი კი მარცხენა ფლანგიდან ხორგუაშვილის ჩამოწოდებას მოჰყვა — ჭელაძემ მარღიშვილის დასწრება სცადა, მაგრამ ბურთს თავით ვერ შესწვდა, რაც მშვენივრად გამოიყენა გელა ჭანტურიასთან პირისპირ დარჩენილმა მარღიშვილმა — გორელმა ფორვარდმა აუღელვებლად ჩამოიღო ბურთი მკერდით და ასევე მშვიდად მიუჩინა მას ადგილი დინამოელთა კარში. მასპინძლები ამან ვერ გამოაფხიზლა, ხოლო სტუმრები კი კიდევ უფრო მეტი შემართებითა და მონდომებით ათამაშდნენ, რაც დაუფასდათ კიდეც — შატაკიშვილმა „დინამოს“ საჯარიმოს მისადგომებთან ბოლომდე იბრძოლა, თითქმის დაკარგული ბურთი მარჯვედ დასცანცლა ცქიტიშვილს და მყისვე დაარტყა, რომელიც დინამოელთა მეკარემ მარჯვენა დაბალ კუთხეში „გაუშვა“. მასპინძლები ამან კი ნაღდად გამოაფხიზლა, მაგრამ აშვეთია მხოლოდ გორელთა კარის ძელის თავურით „შეწუხებას“ დასჯერდა.

მეორე ტაიმში დინამოელთა შტურმი, რაღა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო, მათ აშვეთიას წაქცევისთვის 11-მეტრიანის უფლებაც მოიპოვეს, რაც ხომერიკმა ვერ შეიშნო — გრიგოლ ჭანტურიამ გამოიცნო მიმართულება და დაბალ კუთხეში დარტყმულს გადაელობა. „დინამო“ ამან ვერ გატეხა — ჯერ კიკნაძე-წიტაიშვილის კომბინაციის შედეგად შეეძლო ანგარიშის გათანაბრება (გორელები კვლავ ძელმა იხსნა); შემდეგ ალექსიძეს ჩამოწოდებულს აშვეთიამ ისე დაუხვედრა ბურთს ფეხი, რომ 2-3 მეტრიდან ააცილა „დილას“ კარს, მერე წიტაიშვილის თავური რისვაი-ვაგლახით მოიგერია გრიგოლ ჭანტურიამ. ყველაფერი ეს მეორე ტაიმის პირველ ნახევარში ხდებოდა, რასაც სულ სხვანაირი გაგრძელება მოჰყვა — „დინამო“ დუნედ უტევდა, სისწრაფეს ვერ უმატებდა, ფლანგებზეც არაფერი გამოსდიოდა, ცენტრში კი მხოლოდ კიკნაძე ვერას გახდა. გორელებმა უფრო მობილურად იწყეს თავის დაცვა, ბურთის კოლექტიურიართმევისა და ხისტ, აგრესიულ თამაშსაც მეტად მარჯვედ ახერხებდნენ. საბოლოოდ გორის „დილამ“ საქართველოს 9-გზის ჩემპიონს, თასის 6-გზის მფლობელს სტუმრად მოუგო (თუმცა გორელთა ფანები უფრო აქტიურობდნენ და ექსპანსიურად გამოიყურებოდნენ) და თუ ეს შემთხვევითობა არ გახლავთ, 26 აპრილს გამოჩნდება, ოღონდ უკვე გორში. ასე თუ ისე, გორელებმა სენსაციისა და მითქმა-მოთქმის ტალღა ნაღდად ააგორეს.

დათო თავართქილაძე

## უეფას თასი

განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი

### სპარტაკი (რუსეთი) — ინტერი (იტალია) 2–0

მას შემდეგ, რაც იტალიელებს ძალზე გაუჭირდათ პირველი მატჩის მოგება (2-1), ცხადი იყო, რომ მოსკოვში მათ უშეღავათო ბრძოლის გადატანა მოუხდებოდათ. მით უფრო, საქმეში ამინდიც ჩაერია — რამდენიმე დღეა რუსეთში ხვავრიელად ბარდნის. სველმა თოვლმა „დინამოს“ საფეხბურთო მინდორი საასპარეზოდ მთლად უვარგისი გახადა და მატჩის ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. უეფას დელეგატმა და მსაჯებმა მაშამდე მხოლოდ საათნახევრით ადრე გამოიტანეს ვერდიქტი — ორთაბრძოლა გაიმართებაო. ეს გადაწყვეტილება რომ შეიტყვეს, „ინტერის“ ფეხბურთელებმა უკმაყოფილება გამოხატეს. მაგალითად, გუნდის არგენტინელმა ნახევარმცველმა დიეგო სიმეონემ ჟურნალისტებთან საუბარში უმწეოდ გაშალა ხელები — აბა, გადი და ითამაშე ამ ჭაობში, როგორი საქმეა! არც სპარტაკელებს გამოუხატიათ აღტაცება, მაგრამ გულის სიღრმეში მათ, ალბათ, უხაროდათ, ვინაიდან სტუმართა გუნდი უფრო ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს, ასეთი მინდორი კი, რასაკვირველია, იტალიელების ამ კოზირს აბათილებდა.

## „ინტერი“ ნაპოლეონი არ არის!



*სპარტაკი:* ფილიმონოვი, გორლუკოვიჩი, ხლესტოვი, ციმბალარი, ანანკო, ალენიჩევი, ტიტოვი, ტიხონოვი, რომაშენკო, ევსეევი (ბუზნიკინი), რობსონი.

*ინტერი:* პალიუკა, ბერგომი, კოლონეზე, ვესტი, სარტორი, მორიერო (ფრეზი), კოე, სიმეონე, ძანეტი, სამორანო (კანუ), რონალდო (რეკობა).

*გოლები:* 1-0 ტიხონოვი (11), 1-1, 1-2 რონალდო (45, 71).

*გააფრთხილეს:* გორლუკოვიჩი, ბერგომი, ფრეზი.

*მსაჯი:* ჰიუ დალასი (შოტლანდია)

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში რუსეთელების გამუდმებული შეტევებით დაიწყო. ჯერ ტიხონოვისა და რობსონის დარტყმები ზედიზედ მოიგერია სტუმართა მეკარე პალიუკამ, შემდეგ ევსეევის მცდელობა გააუვნებელყვეს „ინტერის“ მცველებმა. მოსკოველებმა მიუხედავად ამისა, მალე მიაღწიეს საწადელს: მარჯვენა ფრთიდან საჯარიმო მოედანში შეჭრილმა ტიხონოვმა მახვილი კუთხიდან აიძულა პალიუკა კარის ბადედან გამოეტანა ბურთი, 1-0.

გაშვებული გოლის შემდეგ იტალიელები შესამჩნევად გააქტიურდნენ, ეს განსაკუთრებით ითქმის მორიეროსა და სამორანოზე. ერთ მომენტში გამოსვლაზე უხეშად შეცდა მასპინძელთა მეკარე ფილიმონოვი, მაგრამ იქვე მდგარმა ძანეტიმ ეს მომენტი ვერ გამოიყენა. ტაიმის მიწურულს „ინტერმა“ მოწინააღმდეგის კარზე კიდევ ერთი სახიფათო შეტევა განახორციელა, მაგრამ მაღალ ბურთზე ბრძოლისას ფილიმონოვმა რონალდოს აჯობა.

მიმდინარეობდა პირველი ნახევრის ბოლო წუთი, როდესაც იტალიელებმა მახვილგონივრული კომბინაცია გაითამაშეს მოსკოველთა კართან, „სპარტაკის“ მცველებმა ისლა შეძლეს თავის კართან შორიახლოს მოიგერიეს ბურთი, იგი რონალდოს მიუგორდა, მანაც თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა, 1-1.

შესვენების შემდეგ, ცხადია, მოსკოველები, რომლებსაც ფრე ხელს არ აძლევდათ, თავდაუზოგავად უტევდნენ, სტუმრები კი კონტრშეტევებით პასუხობდნენ. მატჩის გადასარჩენად „სპარტაკის“ მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა ნახევარმცველ ევსეევის ნაცვლად თავდამსხმელი ბუზნიკინი გამოიყვანა და... ერთ წუთში სტუმრებმა წარმატება იზეიმეს — რონალდომ ბრწყინვალე დრიბლინგით გვერდი აუარა რამდენიმე მცველს და გამარჯვების გოლი გაიტანა, 2-1. „ინტერი“ — ფინალშია!

რუსულ კლიმატს 1812 წელს ნაპოლეონმა ვერ გაუძლო და უკუიქცა. „ინტერი“ ნაპოლეონი არ არის!

მოსკოვი, ფაქსით

## საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ვიტ-ჯორჯია (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 0-1
დილა (გორი) — ოდიში (ზუგდიდი) 3-0
დინამო (თბილისი) — დინამო (ბათუმი) 2-0
რუსთავი — მერანი-91 (თბილისი) 1-1
გურია (ლანჩხუთი) — სიონი (ბოლნისი) 2-1
სამგურალი (წყალტუბო) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-0
მარგვეთი (ზესტაფონი) — ტორპედო (ქუთაისი) 1-3
ლოკომოტივი (თბილისი) — მაღაროელი (ჭიათურა) 2-0

### სატურნირო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 21 | 18 | 2 | 1 | 59-7 | 51 |
| დინამო (ბთ.) | 22 | 13 | 5 | 4 | 47-16 | 44 |
| კოლხეთი-1913 | 22 | 13 | 4 | 5 | 42-18 | 43 |
| ტორპედო | 22 | 12 | 6 | 4 | 37-20 | 42 |
| ოდიში | 21 | 13 | 2 | 6 | 33-28 | 41 |
| თსუ | 22 | 10 | 6 | 6 | 28-15 | 36 |
| მერანი-91 | 22 | 9 | 6 | 7 | 26-27 | 28 |
| ლოკომოტივი | 22 | 8 | 6 | 8 | 24-28 | 30 |
| დილა | 22 | 8 | 3 | 11 | 21-27 | 27 |
| ვიტ-ჯორჯია | 22 | 6 | 7 | 9 | 20-25 | 25 |
| სიონი | 22 | 7 | 6 | 9 | 33-29 | 22 |
| რუსთავი | 21 | 7 | 1 | 13 | 20-34 | 22 |
| სამგურალი | 22 | 5 | 5 | 12 | 20-43 | 20 |
| გურია | 22 | 4 | 7 | 11 | 22-43 | 19 |
| მაღაროელი | 21 | 3 | 3 | 15 | 17-50 | 12 |
| მარგვეთი | 22 | 1 | 5 | 16 | 14-53 | 8 |

*შენიშვნა: „დინამოს“, „მერანს“ და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა*

## თემურ ქეცბაიას გამო მილიონებს ეთამაშებიან...

**8 მილიონი დოლარი — ასეთ თანხას სთხოვს „ნიუკასლის“ კლუბი იტალიურ „ლაციოსა“ და “რომას“ ქართველ ლეგიონერ თემურ ქეცბაიაში: ამას იტყობინება ჩვენი კოლეგა, სპორტული ჟურნალისტი მამუკა კვარაცხელია, რომელიც მოსკოვში ჩავიდა „სპარტაკისა“ და „ინტერის“ მატჩზე დასასწრებად. მან ეს ამბავი იტალიელი ჟურნალისტებისაგან შეიტყო.**

## მილოცვა

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო „ღირსების ორდენით“ დაჯილდოებას ულოცავს ცნობილ სპორტულ კომენტატორს და სპორტულ მუშაკს ***ჯამლეთ ხუხაშვილს.***

## პირველი ჯგუფი • XXII ტური



ამ ეპიზოდმა ფაქტობრივად გადაწყვიტა თბილისისა და ბათუმის დინამოელთა მატჩის ბედი. მიხეილ აშვეთია (ზოლიან მაისურში) ხელით შეაჩერებს, რისთვისაც პენალტი დაინიშნა.

### «ლელოს» ფეხბურთის განყოფილების კომენტარი:

ამ ტურში ჩემპიონმა უშუალო მდევარი დაამარცხა და, ფაქტობრივად, უკვე მეცხრედ მოიპოვა ქვეყნის უძლიერესი გუნდის ტიტული. ბრავო, „დინამო“! ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში ძნელად მოიძებნება ანალოგია, როდესაც ერთი და იგივე კლუბი, ზედიზედ ცხრაჯერ, გათამაშების დამთავრებამდე 8 და ზოგჯერ მეტი ტურით ადრე პირველობას ინაღდებს. ერთის მხრივ, ეს „დინამოს“ კლუბის ხელმძღვანელობისა და მწვრთნელთა კორპუსის კვალიფიციურ მუშაობაზე მეტყველებს(ხუმრობა ხომ არაა, ფეხბურთელთა ასეთი მიგრაციის პირობებში, წელიწადში ორჯერ მაინც ახალი გუნდის ჩამოყალიბება და ამით ჩემპიონატის და თასის დამაჯერებლად მოპოვება!). მაგრამ მელადს, რომ იტყვიან, მეორე მხარეც აქვს — ქვეყნის ჩემპიონატს ოსტატობის დონით ვერა და ვერ წამოეწივნენ სხვა კლუბები. ამიტომაა ჩვენი ეროვნული ასპარეზობა ასეთი უინტერესო, ინტრიგასმოკლებული...

რაღა დაგვრჩა ახლა, მომდევნო ტურებში გასარკვევი — მხოლოდ ევროტურნირების საგზურების მაძიებელთა და ჯგუფიდან გასავარდნთა ვინაობის დაზუსტება, თუმცა აქაც ბევრი რამ უკვე ცნობილია — ევროტურნირების ოთხ საგზურს, ალბათ გაინაწილებენ თბილისისა და ბათუმის დინამოელები, კოლხები, ქუთათურები და ოდიშელები, უძლიერესთა ჯგუფი კი ზესტაფონელთა და ჭიათურელთა გარდა, შესაძლოა დატოვოს „გურიამ“ ან „მარგვეთმა“.

მომდევნო ტურის მატჩები ხვალ და ზეგ გაიმართება. ცენტრალური შეხვედრა ფოთსა და ქუთაისში შედგება, სადაც, ჩადიან თბილისური კლუბები — შესაბამისად „დინამო“ და „მერანი-91“.



## ჩვენმა ჭაბუკმა მორაგბეებმა მსოფლიოს მცირე თასი მოიგეს, მოზრდილებმა კი „გეგმიური“ მარცხი მიითვალეს

საქართველოს ჭაბუკმა მორაგბეებმა ტულუზაში, მსოფლიოს ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფის ფინალური მატჩიც მოიგეს — ამჯერად მათ პორტუგალიის ძლიერი გუნდი დაამარცხეს — 25:7 და მსოფლიოს მეორე თასი მოიპოვეს. მათ გაისად „ა“ ჯგუფში ასპარეზობის უფლებაც ხვდათ.

აი, საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა კი იტალიაში მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში მასპინძლებთან „გეგმიური“ მარცხი განიცადეს 14:31. გეგმიური იმიტომ, რომ „სკუადრა აძურას“ გუნდს ევროპის უძლიერეს კოლექტივებში ასახელებენ.

# გამოფენის შთაბეჭდილებებიდან – სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე

დღეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი, 15 საათზე, გამსვლელ სხდომას ჩაატარებს ფირმა „ყაზბეგის“ ოფისში. როგორც ცნობილია, ამ ფირმის გენერალური დირექტორი ბატონი გოგი თოფაძე საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტია და ნაგანოში, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, ჩვენი სპორტული დელეგაციის მისიის ხელმძღვანელი გახლდათ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაგანოში გასამგზავრებლად უამრავი პრობლემა, მათ შორის ფინანსური, ამ პიროვნებამ გადაჭრა კოლეგების თანადგომით, და იმასაც, რომ უამრავი საკითხი (ხელისუფლებიდან დაპირებების ჩათვლით) კვლავ მოსაგვარებელია, გოგი თოფაძეს ჩვეული პირდაპირობით ბევრი რამ ექნება სათქმელი ნაგანოში გამოსვლის შემაჯამებელ მოხსენებაში.

**დღესვე**, სეოკ-ისა და სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის თაოსნობით, 14 საათზე, TMS-ის გალერეაში (რუსთაველის, 16) გაიხსნება ნაგანოში წლევანდელ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ავთანდილ გურასაშვილის მიერ გადაღებული მხატვრული და დოკუმენტური ფერადი ფოტონამუშევრების გამოფენა.

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა • საიუბილეო ტურნირი**



# სპორტის აკადემიის 60 წლისთავს მიეძღვნა

საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, ახლანდელი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია იუბილარია – წელს მას დაარსებიდან 60 წელი უსრულდება. ამ თარიღს არაერთი ღონისძიება ეძღვნება. ერთი მათგანი იყო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიაც მასპინძელთა გარდა მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და რეგიონების რჩეული ახალგაზრდა ფალავნები.

**კვარცხლბეკი:** ***54 კგ:*** 1. ვაჟა ომანიძე (სპორტის აკადემია), 2. თემურ ბერაძე (ოზურგეთი), 3. ალექსანდრე გულადაშვილი (სპ. აკადემია); ***58 კგ:*** 1. ალექსანდრე ცერცვაძე (სპ. აკადემია), 2. ზურაბ წიკლაური (თსუ), 3. ანზორ ალთუნაშვილი (პოლიციის აკადემია); ***63 კგ:*** 1. გოჩა ბოცვაძე, 2. ლევან ოდიშარია (ორივე – სპ. აკადემია), 3. ამირან ღლონტი (სტუ); ***69 კგ:*** 1. ამირან სვანიძე (სპ. აკადემია), 2. დიმიტრი დოხტურაშვილი (სართიჭალა), 3. ბადრი ხასაია (თსუ); ***76 კგ:*** 1. თედო კუპატაძე (სპ. აკადემია), 2. ლაშა რეხვიაშვილი (თსუ), 3. ლაშა დიდებულიძე (ოზურგეთი); ***85 კგ:*** 1. მუხრან ვახტანგაძე (სპ. აკადემია), 2. ბიძინა გობრონიძე (ოზურგეთი), 3. ზურაბ ბაქრაძე (სპ. აკადემია); ***97 კგ:*** 1. გენადი ჩხაიძე (ბათუმის უნივერსიტეტი), 2. ზურაბ წიქარაძე (ტოპოგრაფიული ტექნიკუმი), 3. ილია ლეჟავა (სტუ); ***130 კგ.*** 1. გიორგი წურწუმია (სულხან საბ. უნივერსიტეტი), 2. ლაშა გვადიბაძე (სპ. აკადემია, ორი მონაწილე).

გალაქტიონ ბრეგვაძე

**კარატე • ახალი ჟურნალი**

# საქართველოსთვის და რუსეთისთვის

კარატე-დომ მკვიდრად მოიკიდა ფეხი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. აღმოსავლური ორთაბრძოლების ამ სახეობის საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტი, მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტი კახა ბასიალაია (მე-5 დანი), იმავდროულად მსოფლიო შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის წევრი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეფ-ინსტრუქტორია. ამიტომ იგი თავს ვალდებულად თვლის სპეციალური გამოცემითაც გააქტიუროს კარატეს პროპაგანდა და უფრო ეფექტური გახადოს მუშაობის კოორდინაცია. ამ მიზნით გამოიცა ახალი ჟურნალი „კარატე-დო“, რომლის რუსული ვარიანტი ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებშიც გავრცელდება შეკვეთით. ქართულ და რუსულ ენებზე დასტამბული ჟურნალის პირველი ნომერი ყურადღებას იპყრობს, როგორც შინაარსით, ისე დიზაინით. ჟურნალი ფერადი გარეკანითაა დაბეჭდილი.

ირაკლი თუმანიშვილი






# „ჩიტაურის მართვეები“ – ტურნირის მწვერვალზე!

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის თაოსნობით ჩატარდა ბავშვთა ფეხბურთში ცნობილი მწვრთნელის ოთარ გიგოლაშვილის ხსოვნის ტურნირი, რომელშიც 1988 წელს დაბადებულთა 12 რჩეული გუნდი მონაწილეობდა. სხვათა შორის, ამ ასაკში ნიჭიერი და პერსპექტიული მოზარდების საიმედო ცვლა მოდის, რაც აღნიშნულმა ტურნირმაც დაადასტურა.

ნახევარფინალურ შეხვედრებში „ავაზამ“ სძლია „შევარდენს“ 3-2, ხოლო „დინამომ“ და სპორტის აკადემიის წარმომადგენლებმა ფრე 2-2 ითამაშეს, პენალტებით კი ფინალში აკადემიელები გავიდნენ.

ავაზელებმა ანუ, როგორც ამ გუნდს შეარქვეს, „ჩიტაურის მართვეებმა“ (მწვრთნელი ნუგზარ ჩიტაური) ძალიან შთამბეჭდავად, ლაღად, მაგრამ ჟინიანად ითამაშეს და 6-2 გაიმარჯვეს. ასე რომ, ავაზელთა ადრინდელი წარმატებების ნუსხას კიდევ ერთ ტურნირში გამარჯვება მიემატა. ამ გუნდის მოთამაშე ირაკლი კლიმიაშვილმა საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მოიპოვა, ტურნირის ბომბარდირი კი ლადო ლაფერაშვილი გახდა. დაიმახსოვრეთ ეს სახელები!

ირაკლი თუმანიშვილი




**ტურნირში გამარჯვებული „ავაზა – 88“; მარცხნიდან – პირველ რიგში: ლევან ჩიტაური, კოტე კაკაშვილი, ლაშა ართილაყვა, ლევან გეწაძე, ირაკლი კლიმიაშვილი, გიორგი ჯიშკარიანი, გიორგი განუგრავა; მეორე რიგში (მარცხნიდან) – ირაკლი ჩიტაური, გეგი გოგორიშვილი, ლაშა გაგუა, არჩილ კობიაშვილი, თორნიკე არჩვაძე, ლადო დაფერაშვილი, ვანიკო მათნაძე, დიტო ნადირაძე, სანდრო მეტრეველი; მწვრთნელი ნუგზარ ჩიტაური.**

*თორნიკე გაჩეჩილაძის ფოტო*



**ზარი • „ლელო“ №16, 1998 წ • გამოძახილი**

# მცხეთის „ტიტანმა“ ახალი დირექტორის ოსტატობით გაიმარჯვა

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე უშანგი ხარშილაძე) თაოსნობით ჩატარებულმა „მხიარულმა სტარტებმა“ არა მხოლოდ გაამხიარულა, გამოაცოცხლა კიდეც რაიონში მოსწავლეთა სპორტული ცხოვრება. დიდი ხნის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ სხვადასხვა სკოლების თანატოლები. მოსწავლეებთან ერთად კი გამარჯვებისათვის მასწავლებლები და დირექტორებიც იბრძოდნენ. გასულ შაბათს, ამ მასობრივი ღონისძიების ფინალის დღე იყო. მესამე ადგილისათვის ძეგვის „იმედმა“ (დირექტორი თამაზ ჯავახიშვილი, მასწავლებელი ზაქრო ხიზანიშვილი) იმედი არ გაუცრუა ურიცხვ გულშემატკივრებს და წეროვანელებს (ჯამბულ კუპატაძე, თემურ თვაური), მათი მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, 23:19 სძლიეს. პირველობისათვის მცხეთის „ტიტანი“ (№1 სკოლა, გია მამულაშვილი, დათო თურქიაშვილი) და ქსანის „მიმინო“ (გურამ გამდლიშვილი, ვანო ფარჯიანი) დადგნენ პირისპირ. თავიდან „მიმინო“ დაწინაურდა 5:3, მაგრამ მას შემდეგ, რაც ანგარიში გათანაბრდა – 6:6, სასწორი ხან ერთ მხარეს იხრებოდა, ხან მეორეს. საბოლოოდ კი ანგარიში 23:18 „ტიტანმა“ იმარჯვა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა მცხეთის №1 სკოლის ახალდანიშნულმა დირექტორმა გია მამულაშვილმა, რომელმაც ორი ცდიდან ხუთივე სამიზნე წააქცია, თავისიანები დააწინაურა და გუნდს გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა.

შეჯიბრებას ესწრებოდნენ და გამარჯვებული და პრიზიორები დააჯილდოვეს უშანგი ხარშილაძემ, განათლების სამხარეო სამმართველოს უფროსმა ვაჟა ლაშაურმა, სპორტისა და ტურიზმის სამხარეო სამმართველოს უფროსმა ვიტალი გრძელიშვილმა. სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

გადაწყდა გაიმართოს სამხარეო შეჯიბრება, რომელიც აპრილის ბოლოს დაიწყება.

„ლელოს“ კორ., მცხეთა

**არდავიწყება**

# რეზო ოჩიგავას ხსოვნას



ძველი ბერძნები ამბობდნენ: „ადამიანი მოგონებების ტაძარიაო“ და თუ ეს ასეა, შენ მრავალი სულიერი ტაძრის ხუროთმოძღვარი ხარ, ჩემო რეზო, განსაკუთრებულად კი იმ ნაწილისა, რომელიც კეთილშობილებასთან, სიკეთესთან, ვაჟკაცობასთან და მშვენიერებასთან არის წილნაყარი. ჩვენთვის, ადამიანებისთვის, გამოყოფილი დრო ვერ იტევდა შენი არსების მოთხოვნილებას სიკეთის კეთებისა და შენი სული მუდამ იყო მეგობრებთან თუ ოჯახთან, სწავლასა, ვარჯიშსა თუ ხელოვნებაში. შენ ერთ დროში გინდოდა ყოველივე ამის მოქცევა. სამწუხაროდ, ასეთი განზომილებები კი დედამიწაზე არ არსებობს და მალე 20 წელი გახდება, რაც შენ იქა ხარ, სადაც ყველაფერი ეს შესაძლებელია.

ჯერ კიდევ 18 წლის იყავი, როცა შენი განსაკუთრებული ნიჭიერება მხედველობიდან არ გამორჩა წყალბურთის ცნობილ მწვრთნელს როსტომ ჩაჩავას და იმ დროის გამოჩენილ წყალბურთელებთან ერთად მონიოლიმპიადაზე ანუ მსოფლიოს უნივერსიადაზე წაგიყვანა შორეულ სანპაოლოში, სადაც შენ ამ თამაშების ვერცხლის მედლით დაგაჯილდოვეს. აქედან დაიწყო შენი წინსვლა სპორტში და უკვე თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში იმ დროისათვის ლეგენდად ქცეულ ნოდარ გვახარიასთან, გივი ჩიქვანაიასთან, ლერი გოგოლაძესთან, ოთარ მიმინოშვილთან და ჩვენ ახალ თაობასთან ვოვა ისელიძესთან, ნოდარ კურტანიძესთან და სხვებთან ერთად, საკავშირო ჩემპიონატისა თუ სპარტაკიადის მედლებიც მოიპოვე. შემდეგ კი მრავალი საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირები და საყოველთაო აღიარება.

მაგრამ კვლავ მინდა დავუბრუნდე შენს განუზომელ სულიერ სამყაროს: კონსერვატორიისა და სპი-ს წარჩინებული სტუდენტი, ბრწყინვალე პიანისტი, ქართული სიმღერებისა და რუსული რომანსების უბადლო შემსრულებელი, პოეზიის მცოდნე და მოყვარული, შესანიშნავი მეოჯახე და მამა. არასდროს დამავიწყდება უნგრეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი სოლნოკი, წყალბურთელთა „მექა“, სადაც თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები მიპატიჟებულნი იყვნენ ტურნირში მონაწილეობისათვის. ჩვენ დილ-დილობით რესტორანში ვსაუზმობდით, სადაც, ამ სასტუმროში მცხოვრებმა ერთ-ერთმა სტუმართაგანმა თავი მოგვაბეზრა საუზმის დროს როიალზე დაკვრით. ვერ გეტყვით ეს მისი მუსიკით გატაცებით იყო გამოწვეული, თუ ნაწილობრივ იქ მყოფთათვისაც იყო განკუთვნილი. ერთ დილით კი, ჩვენი თხოვნით, შენ ახვედი როიალთან, და ჩვეული შთაგონებით ლისტის „რაფსოდია“ შეასრულე. სულგანაბული გისმენდით; ყველა იქ დამსწრის აღტაცება ოვაციაში გადაიზარდა. მას შემდეგ ის პიროვნება როიალთან აღარ მისულა, ალბათ ვერ გაბედა.

სულ ახლახანს, ჩვენი სახელოვანი ლერი გოგოლაძის 60 წლის იუბილეზე მათემატიკოსებმა მის საპატივცემულოდ „ჩაკრულო“ და „მრავალჟამიერი“ შემოსძახეს, ჩვენ მათ მხოლოდ ვეხმარებოდით, რადგან შენ არ გვყავდი და სიმღერაშიც შეუკრავ გუნდად გამოვიყურებოდით.

მალე გივი ჩიქვანაია და ოთარ მიმინოშვილიც 60 წლისანები გაგვიხდებიან, მაგრამ შენ კვლავ არ იქნები ჩვენს გვერდით, რომ ჩვენი ძალითა და ერთობით გაგახაროთ. გივი დღესაც იგონებს თუ როგორ ჩაფრინდი მის დაბადების დღეზე მოსკოვში მისალოცად, შენთვის ჩვეული უხვი საჩუქრებით და არაჩვეულებრივი ელფერი მიეცი შენი დასწრებით იმ დღეს.

ჩემო რეზო, შენ დღეს 55 წლისა ხარ, მაგრამ ამქვეყნად მოვლენილ შენს ჰარმონიულ სულისა და ხორცის ერთობას, ჩვენგან განსხვავებით, დრო უკვე ვერაფერს აკლებს და ჩვენს წარმოდგენაში იმ თეთრი ნათელი მარმარილოს სვეტი ხარ აღმართული, რომელიც დღეს შენს საფლავზე დგას.

მურთაზ გულედანი

გამოიწერეთ ლელო
„ლელოს“ იბრუნებს სპორტული სამყარო. დაიბრუნეთ თქვენც!

# საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# პირველი ჯგუფი XXII ტური

## ლოკომოტივი (თბილისი) — მაღაროელი (ჭიათურა) 2-0

*ლოკომოტივი:* ვოლკოვი, ამბიძე, არჩვაძე, ბარნოვი, კოტორაშვილი, ქვარცხავა, კვეტენაძე (ზამთარაძე), ყაველაშვილი, დათვაძე, გოდერძიშვილი, ხუციშვილი (ქველაძე).
*მაღაროელი:* გველესიანი, კიპაროიძე, ჩიკვილაძე (მწყერაშვილი), ბიწაძე, გაბრიჩიძე, აბრამიშვილი, ბარამიძე, ბუიშვილი, სამხარაძე, კავთელაძე, შეყლაშვილი.
*გოლები:* გოდერძიშვილი (28), ბარნოვი (62).
*გააფრთხილეს:* გაბრიჩიძე, ბარნოვი.
*მსაჯი:* გ. ასკაროღლი (ქარელი).

„ლოკომოტივმა" პირველივე წუთებიდან ხელთ იგდო უპირატესობა. სტუმართა მხრიდან, თუ ვინმე უშლიდა ხელს მასპინძლებს საწადელის მიღწევაში, ეს მათი მეკარე გველესიანი იყო, რომელმაც საწყის თხუთმეტ წუთში ორი ურთულესი ბურთი მოიგერია, ჯერ ახლო მანძილიდან გოდერძიშვილის დარტყმული, ხოლო რამდენიმე წუთში პირისპირ დარჩენილ დათვაძესაც მოუგო ორთაბრძოლა.

მეკარისდა სამწუხაროდ, მცველების მორიგი შეცდომის შემდეგ, იგი უძლური გახდა, როდესაც მასთან პირისპირ დარჩენილმა გოდერძიშვილმა მშვიდად გადაუგდო ბურთი თავზე. პირველ ტაიმში რკინიგზელებს კიდევ ჰქონდათ რეალური შესაძლებლობა ანგარიშის ორამდე გაზრდისა, მაგრამ კვეტენაძის შორიდან ძლიერად დარტყმული ბურთი, ისევ მეკარემ მოიგერია.

მეორე ნახევარიც „ლოკომოტივის" სრული უპირატესობით წარიმართა. გოლების გატანა შეეძლოთ ამბიძეს, ქვარცხავას, დათვაძეს, მაგრამ ხან მეკარე ყოჩაღობდა, ხანაც მოთამაშეები სცოდავდნენ. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა მალე მიაღწიეს საწადელს: შეტევაში ჩართულმა მცველმა ბარნოვმა 18-20 მეტრიდან ძლიერი დარტყმით სტუმართა კარი აიღო, 2-0.

მხოლოდ ამის შემდეგ სცადეს „მაღაროელის" ფეხბურთელებმა წინ წასვლა. 65-ე წუთზე ბუიშვილს ჰქონდა კარგი შესაძლებლობა სხვაობის შესამცირებლად, მაგრამ მისი თავური ძელმა მოიგერია, სულ ეს იყო, რაც სტუმრებმა მთელი დარჩენილი დროის განმავლობაში შეძლეს.

ირაკლი შენგელია

# სტატისტიკის მოყვარულთათვის

## დილა (გორი) – ოდიში (ზუგდიდი) 3-0

*დილა:* ჭანტურია, ბალაშვილი, ხოხობაშვილი, ლომიძე, შატაკიშვილი (მაისურაძე), რევაზიშვილი, მარეხიშვილი (წკრიალაშვილი), ციცქიშვილი, მარლიშვილი (მინდიაშვილი), ხორგაშვილი, კაიდარაშვილი.
*ოდიში:* სოლოღაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ცქიფურიშვილი, ტყემალაძე, ებრალიძე, სიდამონიძე, ჯინდელაძე, ქორიძე, ქოიავა, (იოსავა), კალანდაძე.
*გოლები:* კაიდარაშვილი (41,43), მარლიშვილი (52)
*გააფრთხილეს:* შატაკიშვილი
*მსაჯი:* მერაბ მალაღურაძე (თბილისი)

## გურია (ლანჩხუთი) – სიონი (ბოლნისი) 2-1

*გურია:* გოგუა, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, ზ. კვეკვესკირი (ლორია), ფაკურია, თიბილაშვილი, ქიქავა, განეჯი, ჩხეტია, ჯ. ბერიძე (ბაბუნაშვილი), ხოსროშვილი (ბუკია).
*სიონი:* დალაქიშვილი, გ. ჩომახიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, გოგოლაძე (თვალაბეიშვილი), სამხარაძე, ფოფხაძე, დ. ბერიძე, ტყავაძე, ჯაგიდისი, გაგუა.
*გოლები:* 1-0 კ. კვეკვესკირი (33, პენ.), 2-0 ბუკია (63), 2-1 ჯაგიდისი (73).
*მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

## სამგურალი (წყალტუბო) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-0

*სამგურალი:* სტურუა, მ. ჯანელიძე, (შველიძე), გრ. თევზაძე, კოლუაშვილი, ჭელიძე, ძაგნიძე, მოსიკაშვილი, ფრანგიშვილი (ლონდაძე), ხაჭაპურიძე, ხურცილავა (ქუთათელაძე), თევდორაძე.
*კოლხეთი-1913:* ქვაჩახია, მიქაბერიძე, ტორჩინავა, გიორგაძე, გიორგობიანი, ლალანიძე, ნოზაძე (დ. მახარაძე), სუხიაშვილი, ე. გვასალია, წივწივაძე, ინალიშვილი
*გააფრთხილეს:* ჯანელიძე, კოლუაშვილი
*გააძევეს:* სუხიტაშვილი, კოლუაშვილი
*მსაჯი:* ოთარ გუნთაძე

## რუსთავი – მერანი-91 (თბილისი) 1-1

*რუსთავი:* ქორიძე, მენთეშაშვილი, გვაზავა, კუდინოვი, პავლიაშვილი, ცომაია, პატარიძე (არჩვაძე), სახვაძე, ჩუხუა, ყიფიანი (ფეზუაშვილი), შენგელია.
*მერანი-91:* ნაჭყებია, დავითნიძე (ჩიგოშვილი), ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, გეწაძე, კაპანაძე, ინიაშვილი, ხორხელი (დანელია), აბაზაძე (მაზანაშვილი), დავითაშვილი.
*გოლი:* 1-0 გვაზავა (42), 1-1 კაპანაძე (70)
*მსაჯი:* პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი)

## მარგვეთი (ზესტაფონი) – ტორპედო (ქუთაისი) 1-3

*მარგვეთი:* მერკვილიშვილი, გოგაძე, გურიელიძე, ჟვანია, ლონდაძე (მალალურაძე), კაციაშვილი, კაკაბაძე, თ. გაბრიჭიძე (ქურციკიძე), მუმლაძე, მალრაძე, შავგულიძე.
*ტორპედო:* მამარდაშვილი, ჩხეტიანი (შენგელია), ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია (კ. მეტრეველი), მეგრელაძე (ვაჩიბერაძე), ჩხაიძე.
*გოლები:* 0-1, 0-2 მეგრელაძე (36, პენ, 70), 1-2 კაციაშვილი (78), 1-3 ხუჯაძე (87).
*გააფრთხილეს:* გაბრიჭიძე
*მსაჯი:* თემურ მაჭარაშვილი (ხონი).

## დინამო (თბილისი) – დინამო (ბათუმი) 2-0

*დინამო (თბ.):* გ. ჭანტურია, ქემოკლიძე (არსოშვილი), ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, პეტრიაშვილი (ბურდული), კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი, ხომერიკი (წიტაიშვილი)
*დინამო (ბთ.):* ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ჭიჭვეიშვილი, სოლოღაშვილი (ლლონტი), ზირაქიშვილი (აფხაზავა).
*გოლები:* ხომერიკი (49, პენ.), ბურდული (90)
*გააფრთხილეს:* ჯელაძე, ჭანტურია.
*მსაჯი:* თამაზ ლაცაბიძე (სურამი)

# სფფ-ს მომავალი არჩევნები ● გზა მიეცით ღირსეულთ!

## ორი განსხვავებული აზრი

„ლელოს" 27-ე ნომერში გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ *„რუბრიკის პრემიერა: სფფ-ს მომავალი არჩევნები. გზა მიეცით ღირსეულთ!"* დაუყოვნებლივ ჰპოვა გამოხმაურება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საზოგადოებრიობა მართლაც ინტერესით მოელის ამ არჩევნებს და მისთვის სულაც არ არის ჩვეულებრივი საკითხი თუ ვინ ჩაუდგება სათავეში ჩვენს საფეხბურთო მეურნეობას. გაგაცნობთ პირველ გამოხმაურებას (მრავალთაგან ამჯერად შევარჩიეთ მხოლოდ ორი მეტნაკლებად განსხვავებული აზრი).

შეკითხვები ასეთი იყო:

**1. ვის ისურვებდით და რატომ სფფ-ს პრეზიდენტად?**
**2. რა გზებითა და საშუალებებითაა შესაძლებელი ქართული ფეხბურთის დონის ამაღლება?**

ბიჭი სამხარაძე (თბილისი, უმუშევარი)

1. ნოდარ ახალკაცის შემდეგ ძნელია გამოინახოს მასავით ავტორიტეტული ხელმძღვანელი, მაგრამ როგორც იტყვიან, შეუცვლელი არავინაა. მე, მაგალითად, ვისურვებდი სფფ-ს პრეზიდენტად საშა ჩივაძე მეხილა. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ: ჩივაძე წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელია, აქვს სფფ-ში მუშაობის გამოცდილება, იცნობს პრობლემებს, ერთი სიტყვით, პროფესიონალია და ადამიანური თვისებებითაც სამაგალითოა. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ის დღეს სფფ-ს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს, მემკვიდრეა, მემკვიდრეობითობას კი, თუ კაცი ნაკლოვანებებს კრიტიკულად შეაფასებს და გაითვალისწინებს, დიდი მნიშვნელობა აქვს.
2. ქართული ფეხბურთის დონის ამაღლება მრავალი ფაქტორით შეიძლება. ალბათ უნდა შემცირდეს ეროვნული ჩემპიონატის I ჯგუფში მონაწილე გუნდების რაოდენობა, საჭიროა გათამაშების ფორმულა სხვა მხრივაც დაიხვეწოს, უცხო გუნდებთან უნდა დაიგეგმოს და ჩატარდეს ამხანაგური შეხვედრები, აუცილებელია აგრეთვე რაც შეიძლება მეტ ტურნირებში მონაწილეობა.

ბელა კენჭაძე (მასწავლებელი, თბილისი)

1. პრეზიდენტობის მსურველი ბევრი გამოჩნდება, ცხადია, მათ თავიანთი მხარდამჭერებიც ეყოლებათ, მაგრამ ამთავითვე უნდა იცოდეს ყველამ – ვინც პრეზიდენტობას მოისურვებს, იმ ტვირთის სიმძიმეც უნდა გაისიგრძეგანოს, რომელიც მას დააწვება მხრებზე. მხოლოდ სურვილი არ კმარა. საჭიროა, უპირველესად, ჰქონდეს დიდი ორგანიზატორული უნარი და მუშაობის გამოცდილება. დადგება დრო და ხალხი მკაცრად მოჰკითხავს. კონკრეტულ პიროვნებაზე მაშინ ვილაპარაკებ, როცა კანდიდატები დასახელდებიან.
2. დღეს ჩვენთან ზღვა ინფორმაცია მოდის უცხოეთიდან, მაგრამ ნაკლები იწერება ამ ქვეყნების ფედერაციების გამოცდილებაზე, განვლილ გზაზე, მუშაობის სტილზე, ფინანსურ საყრდენზე (მათ შორის თქვენს გაზეთშიც). თუ ჩვენს კანონებს საფუძვლად ვუდებთ სხვა ქვეყნის კანონებს, რა გახდა რომელიმე ქვეყნის გამოცდილება გაიხადოს სფფ-მ სამაგალითოდ?

მოამზადეს
ირაკლი თუმანიშვილმა და ლალი შარიძაძემ

# ზონაში მას ქურდი ჰფარველობდა, მეტსახელად „ზვერი"

მეორე დღეს კი ისეთივე ახალგაზრდა სამხრეებიანები უკვე აღარ ირჯებოდნენ მის დასამშვიდებლად, გამთენიისას ტარასოვკაში „სპარტაკის" ბაზაზე სატუსაღო ავტომობილი შეიჭრა. სევიდოვს მთელი გუნდის თვალწინ ზურგს უკან გადაუგრიხეს ხელები და ისე წაათრიეს დერეფანში. „იმას მაინც თუ ხვდები, ვინ გაიტანე, არამზადავ?!" — ორსართულიანი გინებით ჩასძახოდა ყურში რომელიღაც ბადრაგი. ჭაბუკმა მოიაზრა, ისიც, გონებით კი არა, უფრო რომელიღაც მეექვსე გრძნობით, რომ აღსასრული დაუდგა. დროის სრბოლა თითქოს შეჩერდა. „ბუტირკის", ერთადგილიან საკანში სასამართლომდე ნახევარი წელიწადი დაჰყო, უკვე ვეღარც დღეს არჩევდა, ვეღარც ღამეს.

„სპარტაკში" მას ფილოსოფოსს ეძახდნენ, ზონაში — ფეხბურთელს. უნდა შევნიშნოთ, რომ დაღუპული აკადემიკოსის ცოლმა ცოტა ძალ-ღონე როდი მოახმარა დაპატიმრებულის გაფუჭებას; ჯერ იყო და სევიდოვის მშობლებთან ფულის სათხოვნად მივიდა, თან სლუკუნებდა: „მე ხომ მარჩენალი დავკარგე", ხოლო, როცა სან სანიჩმა გონივრულად შენიშნა: „მზადა ვართ, გადაგიხადოთ, თუკი შვილს გამოუშვებენო" — ქალბატონმა ავტორიტეტულ კაბინეტებს მიაშურა. საბჭოური მეცნიერების ვარსკვლავთა უმრავლესობა გაგებითა და მხარდაჭერით შეხვდა ახალგაზრდა ქალს; ასე გაჩნდა ცნობილი წერილი მოთხოვნით „მკვლელს — დახვრეტა", რომელსაც, სხვა ხელმომწერთა შორის, აკადემიკოს კელდიშის ხელიც „ამშვენებდა". ეგ კიდევ რა არის — პროცესამდე რამდენიმე დღით ადრე მოსამართლეს რომელიღაც მალალჩინოსანმა მანდილოსანმა დაურეკა ცენტრალური კომიტეტიდან: „რას ელო-

იხ. მე-5 გვ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 28.



# კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## პლეი-ოფი ● პირველი შეხვედრები

## სდასუ (თბილისი) — აზოტი (რუსთავი) 70:100

**სდასუ:** **ჩერქეზიშვილი (10), ჩხეიძე (2), ოთიურიძე (36), ნაცვლიშვილი (10), სანაძე (3), მგალობლიშვილი (4), მუშკუდიანი (4), აბულაძე (3), ტაბატაძე (2).**
**აზოტი:** **გაბისონია (9), გოგობერიშვილი (11), ბოისა (22), წიკლაური (13), ბერუაშვილი (20), ჯაფარიძე (16), კიკვიძე (6), ჯიმშელეიშვილი (5), კოჭლამაზაშვილი (2), გოგოლაძე (2).**

აგერ უკვე ზედიზედ სამი სეზონია რუსთაველები „ჩაგრავენ" თბილისელ კალათბურთელებს. წინა ორ ჩემპიონატში მოწინააღმდეგეები მესამე ადგილისათვის შეეჭიდნენ ერთმანეთს და მიუხედავად იმისა, რომ იმ შეხვედრებში სდასუ ფავორიტად ითვლებოდა, „აზოტმა" იმარჯვა. მას შემდეგ რუსთავის გუნდი შესამჩნევად გაძლიერდა — შეემატა საზღვარგარეთ ნათამაშევი რამდენიმე კალათბურთელი. ამრიგად, ფავორიტი ახლა „აზოტი" იყო და პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში მოწინააღმდეგე გუნდი პირდაპირ „გაალცამტვერა". თამაშის ასეთ სცენარს, რა თქმა უნდა, არავინ ელოდა. თუმცა, თბილისელთა უსუსურ თამაშს მიზეზებიც მოეძებნება: პირველ რიგში, დიდი დანაკლისია უბერებელი ცენტრის ნიკოლოზ დერიუგინის მწყობრიდან გამოსვლა — მან ფეხის ტრავმა მიიღო და გაურკვეველი ვადით კალათბურთს ჩამოშორდა, მეორე — მოკლე სათადარიგოთა სკამი, მესამე — გუნდის ბირთვი ყოველ წელს იცვლება და, რასაკვირველია, სტაბილური, დაბალანსებული კოლექტივის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება, ასეთ ვითარებაში რაიმე წარმატებაზე ლაპარაკიც, ცხადია, ზედმეტია.

თამაში სწრაფ ტემპში წარიმართა, რუსთაველებმა თავიდანვე შეუტიეს მეტოქეს და ორ წუთში ანგარიში 8:2 იყო მათ სასარგებლოდ. თანდათან „აზოტის" უპირატესობა ყველა სათამაშო კომპონენტში თვალნათლივ იკვეთებოდა, რამაც, ცხადია, ანგარიშშიც ჰპოვა ასახვა.

შესვენების შემდეგ სტუდენტები არაორგანიზებულად, ქაოტურად მოქმედებდნენ, ეგ კი არა, ერთმანეთის მიმართ ხშირად პრეტენზიებსაც გამოთქვამდნენ, ამასობაში მეტოქე ბრწყინვალედ მოქმედებდა და ახალგაზრდა პერსპექტიული კალათბურთელების ბოისას და წიკლაურის შედეგიანი თამაშის წყალობით დამსახურებულად გაიმარჯვა.

## დინამო (თბილისი) — ვითა (თბილისი) 89:106

**დინამო:** **ბეჟანიშვილი (16), მაისურაძე (14), ხოშტარია (25), შენგელია (15), ნათაძე (3), ქევხიშვილი (7), კილაძე (10), შანიძე.**
**ვითა:** **აბრამიძე (8), ტურაშვილი (18), დავითულიანი (15), ჩუბინიძე (10), ორმოცაძე (18), ლოსაბერიძე (6), კოკოლიშვილი (13), კორძაძე (10), გაგნიძე, მიქაძე, ვაშაკიძე, ტუღუში.**

შარშანდელი ფინალის მონაწილენი წელს ერთმანეთს ნახევარფინალში დაუპირისპირდნენ და მათი პირველი შეხვედრა ერთობ შთამბეჭდავი გამოდგა. თამაში „ვითას" უპირატესობით წარიმართა და ორივე ტაიმის განმავლობაში იგი დომინირებდა მოედანზე. „ვითა" ძირითადად გუნდურ თამაშს ანიჭებდა უპირატესობას, ხუთივე კალათბურთელი შეტევაში ერთვებოდა და სწრაფადვე უკან იხევდა. „დინამო", პირიქით, ინდივიდუალურად მოქმედებდა, მის კალათბურთელებს ფიზიკური მომზადება და შეთამაშებაც აკლდათ. მეორე ნახევრის მიწურულისთვის ბრძოლა უფრო გამძაფრდა: „დინამომ" ერთი პერიოდი უპირატესობა იგდო ხელთ (მას შემდეგ, რაც „ვითას" ერთბაშად სამმა კალათბურთელმა ხუთი პერსონალური შენიშვნა მიიღო), მაგრამ „ვითას" სათადარიგო, ახალგაზრდა კალათბურთელებმა სწორად შეაფასეს სათამაშო სიტუაცია, მწვრთნელის მითითება ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს.

## ვითა (თბილისი) – დინამო (თბილისი) 109:94 (2–0)

**ვითა:** **ტურაშვილი (17), აბრამიძე (14), დავითულიანი (11), ორმოცაძე (13), ჩუბინიძე (8), ლოსაბერიძე (17), კოკოლიშვილი (17), კორძაძე (2), გაგნიძე (8), ვაშაკიძე (2).**
**დინამო:** **მაისურაძე (24), ხოშტარია (3), შანიძე (21), შენგელია (4), ბეჟანიშვილი (3), კილაძე (15), ნინიაშვილი (13), მეჭურჭლიშვილი (5), ნათაძე (6).**

„ვითამ" მეორე შეხვედრაც მოიგო და ფინალში გასასვლელი შანსი გაუჩნდა, მაგრამ ეს გამარჯვება, პირველისაგან განსხვავებით, უფრო რთული გამოდგა და, რომ არა ის ინციდენტი, რაც შეხვედრის პირველ ნახევარში მოხდა (იხილეთ „ლელოს" პირველ გვერდში რუბრიკით SOS!), არავინ უწყის თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

ლევან მოსეშვილმა ამჯერად ხუთეულში კილაძის ნაცვლად შეიყვანა შანიძე, რომელმაც მოედანზე გატარებული წუთები კარგად ჩაატარა. „ვითა" კვლავ ორმოცაძის ორი სროლით დაწინაურდა, მან ასეთი შედეგიანი თამაში შეხვედრის ბოლომდე გააგრძელა, ორი სამქულიანიც ჩააგდო და საქართველოს ხუთგზის ჩემპიონის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. დინამოელები მალე გონს მოეგნენ და ხოშტარიას ფარქვეშ შესვლების ბრწყინვალე წყალობით გაათანაბრეს ანგარიში. „დინამო" პირველად მეთორმეტე წუთზე დაწინაურდა, როდესაც მაისურაძემ ზუსტი სამქულიანი შეასრულა და კარგა ხანს უპირატესობას ფლობდა როგორც თამაშის, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. მაგრამ ხოშტარიას ოთხი, მაისურაძეს და ბეჟანიშვილს — სამ-სამი პერსონალური დაუგროვდათ. მოსეშვილმა ხოშტარია დაასვენა. ამას მოჰყვა „ვითას" გააქტიურება, რამდენიმე შედეგიანი შეტევა და სხვაობა ერთ ქულამდე დავიდა „დინამოს" სასარგებლოდ. სწორედ აქედან დაიწყო, ის ამაზრზენი ფაქტი, რომლის ანალოგი მსოფლიოში ალბათ არ მოიძებნება და რის შედეგადაც შეხვედრა 15 წუთით შეწყდა. თამაშის განახლების შემდეგ კი ყველაფერი ნათელი გახდა. შენგელიასა და ხოშტარიას გარეშე „დინამო", მიუხედავად მაისურაძის ბრწყინვალე თამაშისა, განწირული იყო. ახალგაზრდა, სათადარიგო კალათბურთელებმა მთელი ენთუზიაზმით კი ითამაშეს, მაგრამ „ვითამ" გამოცდილებით დარჩენილი დრო თავისი კარნახით წარმართა და „ცალი ფეხით" შეაბიჯა ფინალში.

## აზოტი (რუსთავი) — სდასუ (თბილისი) 93:90 (2–0)

**აზოტი:** **გაბისონია (2), წიკლაური, ბოისა (21), გოგობერიშვილი (27), ჯაფარიძე (24), კიკვიძე (4), კეჟაუმაძე, გოგოლაძე, ბერუაშვილი (15).**
**სდასუ:** **ჩერქეზიშვილი (13), ჩხეიძე (8), ნაცვლიშვილი (25), ოთიურიძე (27), აბულაძე (3), მუშკუდიანი (8), სანაძე (6), ახობაძე, მგალობლიშვილი.**

ეს შეხვედრაც დაძაბულად წარიმართა და თითქოს ბერუაშვილს დინამოელ შენგელიასა და ხოშტარიას „სენი" გადაედოო, ცოტა დააკლდა მუშტი-კრივის გასამართავად. თუმცა ამ „ცოტამ" იმარჯვა მის გონებაში და მორიგი აყალმაყალის მომლოდინე მაყურებელს „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ".

მატჩი სწრაფ ტემპში წარიმართა, ნაცვლიშვილისა და ოთიურიძის შედეგიანი სროლების შედეგად სდასუ დაწინაურდა. წინა შეხვედრისაგან შედარებით ისინი, მობილიზებულნი ჩანდნენ. გუნდის ლიდერობა კვლავ ჩერქეზიშვილმა ითავა, ასაკის მიუხედავად იგი ბრწყინვალედ მოძრაობდა და შესანიშნავი პასებით ამარაგებდა პარტნიორებს. რუსთაველები „გამოფხიზლდნენ" და პირველი ტაიმის შუაწელისთვის ნელ-ნელა თამაშის „სადავეებს" დაეუფლნენ. პირველი ნახევარი 45:43 დამთავრდა, მათ სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ „აზოტმა" მძლავრად შეუტია მეტოქეს, ჯაფარიძე, გოგობერიშვილი კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. მათი აქტიური თამაშის წყალობით რუსთაველები 15 ქულითაც კი გაიჭრნენ წინ. მაგრამ მათმა სენმა გუნდში „შიდააშლილობა", ნერვიულობის თანხლებით კვლავ იჩინა თავი. ბერუაშვილმა „ისახელა" თავი და ორმაგი ტექნიკურით დაჯარიმდა. 6 სროლიდან ოთიურიძემ ოთხი გამოიყენა, სდასუს რამდენიმე შედეგიანი შეტევის წყალობით ანგარიში 78:75 გახდა „აზოტის" სასარგებლოდ. სიტუაცია ისევ დაიძაბა, მაგრამ ბოლო წუთებში „აზოტს" ბოისამ უშველა, რომელმაც სამი შეტევა ზუსტად დააგვირგვინა, რაც გამარჯვების ტოლფასი იყო.

გოგა ლომიძე



# მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან



# ინგლისელები

თამამდელ მსოფლიო ჩემპიონატებში ინგლისელები არ მონაწილეობდნენ და ყოველნაირად ხაზს უსვამდნენ, რომ ეს შეჯიბრება მათთვის საინტერესო არ იყო. ასეთ „ბრწყინვალე იზოლაციას“ არ შეეძლო მათთვის რაიმე სიკეთის მოტანა. გადაწყდა 1950 წელს მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატში, რომელიც ბრაზილიაში უნდა გამართულიყო, მონაწილეობის მიღება, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს უფლება ჯერ კიდევ მოსაპოვებელი იყო.

მეექვსე ევროპულ შესარჩევ ჯგუფში თამაში ინგლისელებს დიდად არ გასჭირვებიათ. მათ სამი გამარჯვება იზეიმეს: უელსელებთან — 4-1, ჩრდ. ირლანდიელებთან — 9-2, შოტლანდიელებთან — 1-0. ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და შოტლანდიელებთან ერთად მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება. მართალია, შემდეგ შოტლანდიელებმა ბრაზილიაში გამგზავრებაზე უარი განაცხადეს.

მაშ, ასე, პირველი მონაწილეობა ფინალში და პირველი დიდი იმედის გაცრუება. ინგლისელები მეორე წინასწარ ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მათი მეტოქეები იყვნენ ესპანეთის, ჩილესა და აშშ-ს ნაკრებები. გამარჯვებული ფინალურ ოთხეულში გადიოდა, სადაც ბრძოლა წრიული სისტემით უნდა წარმართულიყო, მაგრამ...

პირველი მატჩი ჩილელებთან ინგლისელებმა მოიგეს — 2-0 (მორტენსენი და მანინი), მაგრამ ამას მოჰყვა სრულიად მოულოდნელი, წარმოუდგენელი კოშმარი. აშშ-ის ნაკრებთან ინგლისელები იოლ გასეირნებას ელოდნენ, მაგრამ მარცხი იგემეს — 0-1. ასეთი შოკის შემდეგ ისინი კიდევ ერთხელ დამარცხდნენ — 0-1 ესპანელებთან და მთლად შერცხვენილებმა დატოვეს შეჯიბრება.

მომავალ მსოფლიო ჩემპიონატამდე ინგლისელებს კიდევ ორი საშინელი დამცირება ელოდათ: მარცხი ჰელსინკის ოლიმპიურ ჩემპიონებთან — უნგრელებთან, რომლებსაც „ჯადოსნურ ჰუსარებს“ უწოდებდნენ, მათ თამაშს კი „საფეხბურთო ჩარდაშსა“ და „უნგრულ რაფსოდიას“. „უემბლიზე“ ინგლისელებმა წააგეს — 3-6, „ნეპშტადიონზე“ კი მთლად შერცხვნენ — 1-7! ერთი სიტყვით, თუმცა ინგლისელებმა შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და შვეიცარიაში გამგზავრების უფლება მოიპოვეს, მაგრამ მათ ფინალის წინ განიხილავდნენ, როგორც მეორეხარისხოვან ნაკრებს. შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ექსპერტები სრულიადაც არ შემცდარან.

წინასწარ ჯგუფში ინგლისელების მეტოქეები იყვნენ იტალიის, შვეიცარიის და ბელგიის ნაკრებები. პირველი მატჩი ბელგიელებთან ინგლისელებს თითქოს უნდა მოეგოთ, მაგრამ დიკინსონის ავტოგოლის შემდეგ იძულებულნი გახდნენ ფრეს დაჯაბულებოდნენ — 4-4. ამის შემდეგ მათ სძლიეს — 2-0 მასპინძლებს, შვეიცარიელებს და მეოთხედფინალში გავიდნენ. აქ კი მსოფლიო ჩემპიონებთან — ურუგვაელებთან მოუხდათ შეხვედრა. 1950 წელთან შედარებით ურუგვაელების ნაკრები საგრძნობლად შეიცვალა — ახალგაზრდებით შეივსო. ზოგი მათგანი უკვე ფართოდ იყო ცნობილი — სანტამარია, კარბალო, კრუსი, ამბროისი, სოტო, ბორხესი. მატჩიც სამხრეთამერიკელების საგრძნობი უპირატესობით წარიმართა. მორ[illegible]სმა გახსნა ანგარიში, რასაც ლოფტჰაუსმა გოლით უპასუხა. შემდეგში ვარელამ და განთქმულმა სკიაფინომ თითო გოლი გაიტანეს — 3-1. მატჩის ხსნა უკვე შეუძლებელი გახდა. მართალია, ფინეიმ ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ ამბროისმა განამტკიცა მსოფლიო ჩემპიონების უპირატესობა — 4-2. ინგლისელებმა დატოვეს შვეიცარია.

**1958** წელს შვეციაში ინგლისის ნაკრები კვლავ რიგითი მონაწილე იყო. დასაწყისში თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო. პირველ შეხვედრას საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ბრიტანელები აგებდნენ — 0-2, მაგრამ კევანისა და ფინეის გოლების წყალობით აღადგინეს წონასწორობა. ბორხესმა მატჩი მომავალ მსოფლიო ჩემპიონებთან, ბრაზილიელებთან ფრედ — 2-2 დამთავრდა. ავსტრიელებთან კვლავ ფრე — 2-2 აღინიშნა (ჰეინესი, კევანი). რახან ინგლისელებმა და საბჭოთა ნაკრებმა 3-3 ქულა მოაგროვეს და ბურთების სხვაობაც თანაბარი ჰქონდათ, საჭირო გახდა მათ შორის დამატებითი მატჩის დანიშვნა. ინგლისელები დამარცხდნენ — 0-1 და გამოეთიშნენ შეჯიბრებას.

**1962** წელი, ჩილე. აქ ინგლისელებს ცოტა უკეთესი შედეგები ჰქონდათ. უნგრელებთან პირველ მატჩში ისინი ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: სპრინჯეტი, არმფილდი, ნორმანი, უილსონი, მური, ფლაუერსი, დუგლასი, გრივსი, ჰიტჩენსი, ჰეინსი, ბ. ჩარლტონი. მათ დაცვას გაუჭირდა თამაში უნგრელების განთქმულ ტრიოსთან: რაკოში-ალბერტი-ტიხი. ტიხიმ გახსნა კიდეც ანგარიში, მაგრამ თანდათან ინგლისელებმაც ალღო აუღეს მეტოქეებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბობი ჩარლტონი, რომელიც მარცხენა ფრთაზე სისტემატიურად უვლიდა გვერდს შაროშის.

ერთ-ერთ მის გარღვევაზე შაროშიმ ხელით ითამაშა და ფლაუერსმა პენალტით გაათანაბრა ანგარიში. ინგლისელების მძაფრი იერიში გრძელდებოდა, მაგრამ ერთ-ერთი საპასუხო კონტრშეტევისას ალბერტმა იხელთა დრო, გვერდი აუარა სამ მცველს და გუნდს გამარჯვება მოუტანა — 2-1. ამ წაგების მიუხედავად ინგლისელები არგენტინელების დამარცხების — 3-1 (გოლები გაიტანეს ფლაუერსმა პენალტით, ბ. ჩარლტონმა და გრივსმა) და ბულგარელებთან ფრეს — 0-0 შემდეგ მაინც გავიდნენ მეოთხედფინალში, სადაც მაინცდამაინც მსოფლიო ჩემპიონებს — ბრაზილიელებს გადაეყარნენ. აქ კი გარინჩასთან ბრძოლა შეუძლებელი აღმოჩნდა. „ხალხის სიხარულმა“ გახსნა კიდეც ანგარიში, ჰიტჩენსმა გაათანა-



ბობი მურმა სანუკვარი „ნიკეს“ თასი ინგლისის დედოფლის ხელიდან ჩაიბარა

ბრა იგი, მაგრამ შემდეგ ვავამ და კვლავ გარინჩამ გაიტანეს გოლები — 3-1 და ინგლისელები შინ გაამგზავრეს.

**1966** წლისათვის ჩემპიონატის მოწყობის უფლება ისტორიაში პირველად ინგლისს მიენიჭა. საყოველთაო აზრით, ინგლისელებმა ორგანიზაციული თვალსაზრისით ბრწყინვალედ ჩაატარეს ეს შეჯიბრება. მატჩები ჩატარდა ლონდონში, შეფილდში, ბირმინგემში, ლივერპულში, მანჩესტერში, სანდერლენდსა და მიდლსბროში. მას დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა, უამრავი სტუმარი ევროპისა და ამერიკის ქვეყნებიდან.

16 მონაწილე 4 წინასწარ ჯგუფად დაყვეს. თვით მასპინძლები მოხვდნენ პირველ ჯგუფში, სადაც მათ გარდა თამაშობდნენ ურუგვაის, საფრანგეთისა და მექსიკის ნაკრებები. ინგლისელების პირველ მატჩ[illegible] შემდეგ მათ დაამარცხის ჯერ მექსიკელები — 2-0 (ბ. ჩარლტონი, ჰანტი), შემდეგ კი ფრანგები — 2-0 (ჰანტი-2). ნაკრების მატჩების დონემ ამ პირველ სტადიაში ინგლისელი გულშემატკივრები არ დააკმაყოფილა. ჟურნალისტები მწვავედ აკრიტიკებდნენ მწვრთნელ ალფ რამსეის, წარსულში „საუთჰემპტონისა“ და „ტოტენჰემ ჰოტს[illegible]ის“ ცნობილ მცველს, მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატის მონაწილეს. თვით რამსეიმ ცხადია, კარგად იცოდა, რომ ამ ეტაპზე მთავარი იყო, რაც შეიძლება ნაკლები დაძაბულობით, მეოთხედფინალში გასვლა. ასეც მოხდა: ინგლისისა და ურუგვაის ნაკრებებმა გააგრძელეს ბრძოლა.



მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონი – ინგლისის ეროვნული ნაკრები. დგანან (მარცხნიდან): მწვრთნელის ასისტენტი სტეფენსონი, სტაილზი, ჰანტი, ბენქსი, ჯ. ჩარლტონი, კოენი, ვილსონი, რამსეი (მწვრთნელი); სხედან (მარცხნიდან): პიტერსი, ჰიორსტი, მური, ბალი, რ. ჩარლტონი.

მეოთხედფინალური მატჩი არგენტინელებთან პირდაპირ სკანდალური გამოდგა. იგი ძალიან უხეშად მიმდინარეობდა, მსაჯმა კრაიტლაინმა (გფრ) კი ვერ გაართვა თავი წამოჭრილ სიძნელეებს. განსაკუთრებით ნერვიულობდნენ არგენტინელები. 36-ე წუთზე მინდორი დაატოვებინეს რატინს — არგენტინელთა კაპიტანსა და თამაშის ორგანიზატორს. ამის შემდეგ მატჩი შეწყდა, არგენტინელები აღარ აპირებდნენ ბრძოლის გაგრძელებას. 7 წუთის შემდეგ ფიფას წარმომადგენლების ჩარევით, შეხვედრა მაინც გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ ათნი თამაშობდნენ, არგენტინელებმა მასპინძლებს მეტად შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს. მხოლოდ 77-ე წუთზე ჰერსტის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა მოუტანა გამარჯვება ინგლისელებს. ამ გოლმა დიდი აყალმაყალი გამოიწვია. არგენტინელები თვლიდნენ, რომ სანამ ბურთს ჰერსტი მიიღებდა, მან გადაკვეთა მინდვრის ხაზი, რაც მსაჯმა ვერ შენიშნა. შემდეგ კამათი პრესკონფერენციაზეც გაგრძელდა, სადაც ისეთმა კორექტულმა ადამიანმაც კი, როგორიც ალფ რამსეია, თავი ვერ შეიკავა და თავს დაესხა არგენტინელებს. დარბაზშიც იგივე განმეორდა, რაც სტადიონზე. იყო ურთიერთბრალდებები, უხეშობაც კი. ფიფამ სასჯელი გამოუტანა მოთამაშეთა ჯგუფს და თვით ალფ რამსეისაც.

ჩემპიონატი ნამდვილად დაამშვენა ინგლის-პორტუგალიის მატჩმა. ორივე გუნდი სწრაფად, ენერგიულად, შემტევი სტილით თამაშობდა. ინგლისელი გულშემატკივრები ტრიბუნებზე განუწყვეტლივ მღეროდნენ, ამხნევებდნენ თავისიანებს, თუმცა პორტუგალიელებსაც უკრავდნენ ტაშს. შეიძლება ითქვას, ეს იყო დიდებული ოსტატის, ბობი ჩარლტონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი მთელი მისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე. ჩარლტონმა მაყურებლები აღტაცებაში მოიყვანა თავისი დიდებული გარღვევებით, ცრუ მოძრაობებით, საჯარიმო დარტყმებით, უზუსტესი გადაცემებით. სწორედ მან გაიტანა ორი ჩინებული გოლი 30-ე და 79-ე წუთებზე. თავის მხრივ ინგლისელთა დაცვამ ყველაფერი გააკეთა, რათა როგორმე შეეკავებინა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი ეუსებიო. მას პერსონალურად მეურვეობდა ფრიად ხისტი მოთამაშე, ნახევარმცველი სტაილსი, რომელიც აჩრდილივით დასდევდა პორტუგალიელ ვარსკვლავს. რა თქმა უნდა, სტაილსი საკმაოდ ხშირად არღვევდა კიდეც წესებს. ერთ-ერთი ასეთი დარღვევის გამო დაინიშნა 11-მეტრიანი და ეუსებიომ გაიტანა გოლი. ეს იყო ინგლისელთა კარში გატანილი პირველი ბურთი ამ ჩემპიონატში. 2-1 — ინგლისელები გავიდნენ ფინალში.

ალფ რამსეის გუნდი მართლაც ფრიად დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. კარს იცავდა შესანიშნავი მეკარე ბენქსი, ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში. მეტად საიმედოდ თამაშობდნენ განაპირა მცველები კოენი და უილსონი. რაც შეეხება ცენტრალურ მცველებს ჯ. ჩარლტონსა და მურს, მათი დაძლევა თითქმის შეუძლებელი იყო. დაცვას კარგად ეხმარებოდა შეუპოვარი ნახევარმცველი სტაილსი. შუა ხაზზე მეტად პროდუქტულად მოქმედებდნენ პიტერსი და ბოლი, რომელთაც კარგად ეხმარებოდა გუნდის სული და გული ბ. ჩარლტონი. წინა ხაზზე შედეგიანი თამაშით გამოირჩეოდნენ ჰერსტი და ჰანტი. ალფ რამსეი კარგა ხანს საგულდაგულოდ ამზადებდა ამ გუნდს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩემპიონატის წინ ინგლისელებმა 17 საკონტროლო მატჩი გამართეს, 12 მოიგეს, 4 ფრედ დაასრულეს და მხოლოდ 1 წააგეს. მზადებაც ამას ჰქვია!

თუ ინგლის-პორტუგალიის მატჩი სანახაობრივი თვალსაზრისით უმშვენიერესი იყო, ფინალური თამაში ინგლისელებსა და გფრ-ს ნაკრებს შორის უდიდესი დრამატიზმით გამოირჩეოდა. ეს, რა თქმა უნდა, მოსალოდნელიც იყო. შეხვედრას „უემბლიზე“ 100 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. ბევრი გულშემატკივარი სპეციალურად ჩავიდა გერმანიიდან ფინალური მატჩის სანახავად. ვის ჰქონდა მისი მოგების უკეთესი შესაძლებლობა?

თავიდანვე დაიწყო მძაფრი ბრძოლა ინიციატივის დასაუფლებლად. მეტოქეთა დაპირისპირებასთან ერთად განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ორი უდიდესი ოსტატის: ბობი ჩარლტონისა და 21 წლის ფრანც ბეკენბაუერის ორთაბრძოლა. მწვრთნელების ტაქტიკური გეგმა ისე იყო შედგენილი, რომ სწორედ ისინი უნდა შეჯახებოდნენ ერთმანეთს. გერმანელებმა პირველებმა გახსნეს ანგარიში. ეს მეტორმეტე წუთზე ჰალერმა შეძლო. სულ 6 წუთი დასჭირდა ცდა ინგლისელებს და ჰერსტმა მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. ინგლისელებს ერთგვარი ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ, მათ არაერთი ჩინებული კომბინაციაც გაითამაშეს, მაგრამ გერმანელების დაცვა დიდი ყურადღებით, შეუპოვრად მოქმედებდა. ზუსტად თამაშობდა სტუმრების მეკარე ტილკოვსკი. ასეთი იყო ვითარება 78-ე წუთისათვის, როცა მარჯვენა მცველმა ჰიოტგესმა ცუდად მოიგერია ბურთი, რომელიც მიუვიდა პიტერსს და მანაც ძლიერი დარტყმით დააწინაურა ინგლისელები. ინგლისელი გულშემატკივრები ზეიმობდნენ — მატჩის ბოლომდე წუთები რჩებოდა. ამასობაში კი გერმანელებს რაღა დარჩენოდათ — მთელი გუნდი შეტევაზე გადავიდა. ბენქსის კარის სიახლოვეს გამოჩნდნენ მცველები შნელინგერი და ვებერი. მარცხენა გარემარბმა ემერიხმა კართან ჩამოაწოდა ბურთი, იგი შლენინგერმა მიიღო და გადასცა ზეელერს. გერმანელი სნაიპერის დარტყმა ბენქსმა კი მოიგერია, მაგრამ ბურთი მიუვიდა ვებერს და 90-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 2-2.

მაინც რა შემართება და ენერგია ჰქონდა ორივე ამ უძლიერეს ნაკრებს?! დაინიშნა დამატებითი დრო. 101-ე წუთზე ბოლმა ბურთი გადააწოდა ჰერსტს, რომელმაც 20 მეტრის სიშორიდან დაარტყა. ბურთი მოხვდა ძელს, შემდეგ დაეშვა და მინდორს დაუბრუნდა. შვეიცარიელ მსაჯ დინსტს თავდაპირველად რეაქცია არ მოუხდენია, მაგრამ ინგლისელების მოთხოვნის შემდეგ საქმეში ჩაერია თანამსაჯი ტოფიკ ბახრამოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა. ამან ინგლისელების აღტაცებული ყიჟინა და გერმანელების იმედის გაცრუება გამოიწვია. ისინი



ბობი ჩარლტონი

თვლიდნენ, რომ მსაჯმა არასწორად ჩათვალა გოლი. როგორც კომენტატორები თვლიდნენ, რაც ფეხბურთის ისტორია იარსებებს, არ შეწყდება კამათი, იყო ის გოლი თუ არა. ამის შემდეგ თამაშის დამთავრებამდე კიდევ 19 წუთი რჩებოდა. გერმანელები განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ჰერსტმა გაიტანა გოლი — 4-2. ჰეთ-თრიკი მსოფლიო პირველობის ფინალურ მატჩში — ეს მართლაც იშვიათი მოვლენა იყო.

ინგლისელები პირველად გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები. 1966 წლის 30 ივლისი კი სამუდამოდ ოქროს ასოებით შევიდა ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში. დედოფალმა ელისაბედ მეორემ ნაკრების კაპიტან ბობი მურს საზეიმოდ გადასცა ჟიულ რიმეს თასი, მოთამაშეები უხვად დაასაჩუქრა, ალფ რამსეი კი „სერი“ გახადა.

ეს იყო ინგლისური ფეხბურთის უდიდესი მიღწევა. ნაკრებს შემდეგ უკვე აღარასოდეს ჰქონია ასეთი წარმატება. როცა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ტრადიციის თანახმად მსოფლიოს იდეალური ნაკრები შეადგინეს, მასში ერთბაშად სამი ინგლისელი ოსტატი აღმოჩნდა: მეკარე გორდონ ბენქსი, ცენტრალური მცველი ბობი მური და შუა ხაზის მოთამაშე ბობი ჩარლტონი.

მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატში ინგლისის ნაკრები, გასაგებია შესარჩევი ტურნირის გაუვლელად დაუშვეს ფინალში, გასაგებია, ამ 4 წლის მანძილზე დიდი ცვლილებები მოხდა. მომძლავრდა რამდენიმე ნაკრები, დაწინაურდა ევროპელი და სამხრეთამერიკელი ფეხბურთელების ახალი „ტალღა“. ინგლისელებმა, ცხადია იცოდნენ, რომ მექსიკაში ძალიან გაუჭირდებოდათ. განსაკუთრებით დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი ბრაზილიელებთან, რომლებმაც სპეციალისტების ცნობით, საკმაოდ ხანგრძლივი კრიზისი დაძლიეს, თუმცა ამას ჯერ კიდევ სჭირდებოდა დამტკიცება.

წინასწარ ჯგუფში ინგლისელები სწორედ ბრაზილიელებთან ერთად მოხვდნენ. მათ გარდა აქვე თამაშობდნენ ჩეხოსლოვაკიელები და რუმინელები. ინგლისელებმა ჯერ რუმინელები დაამარცხეს ანგარიშით 1-0 (ჰერსტი), შემდეგ ბრაზილიელებთან ამავე ანგარიშით დამარცხდნენ, მაგრამ ბოლოს ჩეხოსლოვაკიელებს სძლიეს — 1-0 (კლარკი, პენალტით) და მეოთხედფინალში გავიდნენ. მოხდა ისე, რომ იქ უკვე გფრ-ის ნაკრებს შეხვდნენ, რომლებთანაც წინა მსოფლიო ჩემპიონატში ასეთი უსიამოვნო შეხლა-შემოხლა ჰქონდათ. ამას, როგორც ბევრი ელოდა, ახლა თავისებური გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა.

ეს მატჩი ლეონში, სადაც გუნდებმა უმაღლესი კლასი უჩვენეს, მეტად დრამატულად მიმდინარეობდა. უპირატესობა არც ერთ მხარეს არა ჰქონდა, საგოლე მომენტები თანაბრად იყო, მაგრამ აი, 70-ე წუთისათვის ინგლისელებმა ორი მათგანი გამოიყენეს (მალერი, პიტერსი), გერმანელებმა კი ვერც ერთი. აქ კი ალფ რამსეი მწარედ მოტყუვდა. მან შეცვალა ბ. ჩარლტონი (შემდეგი მატჩისთვის შემოინახა?!). მინდორზე გამოვიდა ბელი და ინგლისელების თამაშშიც ზადი გაჩნდა. საქმე ის იყო, რომ მანამდე აქტიური ბ. ჩარლტონი ბეკენბაუერს შეტევაში ჩართვის საშუალებას არ აძლევდა, ახლა კი ვითარება შეიცვალა. „კაიზერ ფრანცი“ წავიდა წინ და შორეული დარტყმით გაქვითა ერთი გოლი. გერმანელების შეტევამ მას შემდეგაც იმატა, რაც მინდორზე გრაბოვსკი გამოვიდა. 81-ე წუთზე უკვე ზეელერმა ანგარიში გაათანაბრა. ახლა თამაში დამატებით დროში უნდა გაგრძელებულიყო. აქ კი გერდ მიულერმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა და ინგლისელები გამოეთიშნენ შეჯიბრებას. ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა: მწვრთნელ რამსეის შეცდომა, ბ. ჩარლტონის გადაღლა, ძირითადი მეკარის, ბენქსის ავადმყოფობა და მისი სათადარიგო ბონეტით შეცვლა, მცველ კუპერის ავანტურიზმი, რომელიც დაუფიქრებლად მიდიოდა წინ და ბეკენბაუერს უყურადღებოდ ტოვებდა. ყოველივე ამან მძიმე შედეგები მოიტანა. ამ ფონზე შეიძლება გასაკვირიც კი იყო, რომ ჩემპიონატის შემდეგ შედგენილ მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში ერთბაშად ოთხი ინგლისელი ფეხბურთელი მოხვდა: მეკარე ბენქსი, მცველები მური და კუპერი, ნახევარმცველი ბ. ჩარლტონი.

„ალფ რამსეის ეპოქა“ კი საბოლოოდ მაშინ დამთავრდა, როცა ინგლისის ნაკრები მსოფლიოს მორიგ, 1974 წლის ჩემპიონატში ვერ მოხვდა. მისი იმედები სწორედ ლონდონში, „უემბლის“ სტადიონზე გაცრუვდა, როცა მასპინძლებმა ვერაფერი დააკლეს (1-1) პოლონელებს. მათ ნაცვლად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კაზიმეჟ გურსკის ნაკრები გაემგზავრა. ნათქვამია, უბედურება მარტოდ არ დაიარებაო. ინგლისელებმა ვერც მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატში მოიპოვეს თამაშის უფლება. ზედიზედ ორი ფინალის გამოტოვება — ეს უკვე მეტისმეტი იყო.

ამ ორი დიდი მარცხის შემდეგ ინგლისელები, როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს გავიდნენ მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონატის (1982 წელი) დასკვნით ნაწილში, თუმცა აქ მაინცდამაინც არ გამოუჩენია თავი. მართალია, წინასწარი ეტაპი კარგად წარმართეს: მოუგეს ფრანგებს — 3-1 (ბრაიან რობსონი — 2, მარინერი), ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს — 2-0 (ფრენსისი, ბარმოში — საკუთარ კარში) და კუვეიტელებს — 1-0 (ფრენსისი). სამაგიეროდ, მეორე ეტაპზე, სადაც ისინი გფრ-ისა და ესპანეთის ნაკრებებს შეხვდნენ, ორივე მატჩის უფერული თამაშის შემდეგ ფრედ დასრულდა ერთნაირი ანგარიშით — 0-0 და ნახევარფინალში გერმანელები გავიდნენ.

1986 წლის მსოფლიო „მონდიალს“ მექსიკაში „მარადონიალი“ ეწოდა. აქ ინგლისელებს შესანიშნავი ცენტრფორვარდი ლინეკერი ჰყავდათ, რომელიც ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერიც გახდა 6 გატანილი გოლით და მსოფლიოს იდეალურ ნაკრებშიც მოხვდა. სხვა მხრივ ინგლისელები ბევრს ვერაფერს დაიკვეხნიდნენ. ჯერ იყო და პორტუგალიელებთან წააგეს — 0-1, ამას მაროკოელებთან უფერული ფრე — 0-0 მოჰყვა. მაგრამ, როდესაც ძალიან გაუჭირდათ, პოლონელებს 3-0 მოუგეს (სამივე გოლი ლინეკერმა გაიტანა) და მერვედფინალში გავიდნენ. აქაც მოიგეს — 3-0 (ლინეკერი-2, ბიორდსლი), პარაგვაელებთან, მაგრამ მეოთხედფინალში არგენტინელებთან ვერაფერს გახდნენ — 1-2 (ლინეკერი).

ყოველივე ამის შემდეგ ინგლისელების სერიოზულ წარმატებად ჩაითვალა მათი გამოსვლა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 1990 წელს იტალიაში ჩატარდა. მაშინ ნაკრებს ბობი რობსონი ხელმძღვანელობდა, ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში. ლინეკერთან ერთად აღნიშნავდნენ მეკარე პიტერ შილტონსაც, რომელმაც წინა მსოფლიო ჩემპიონატშივე მიიქცია ყურადღება. ეს პირველობა რობსონის გუნდმა ფრიად მოკრძალებულად დაიწყო: 1-1 (ლინეკერი) ირლანდიელებთან, 0-0 ჰოლანდიელებთან, 1-0 (რაიტი) ეგვიპტელებთან. მერვედფინალში დამატებით დროში პლატის ერთადერთი გოლის წყალობით ბელგიელები დაამარცხეს, მეოთხედფინალში ასევე დამატებით დროში კამერუნელები — 3-2 (პლატი და ლინეკერი-2), ნახევარფინალურ მატჩს გფრ-ის ნაკრებთან ასევე დამატებითი დრო დასჭირდა. მას შემდეგ, რაც ვერც მან გამოავლინა გამარჯვებული — 1-1 (ლინეკერი), საჭირო გახდა 11-მეტრიანების სერიის დანიშვნა, სადაც უფრო იღბლიანები გერმანელები აღმოჩნდნენ.

და აი, ამის შემდეგ ინგლისელებმა ისტორიაში პირველად ითამაშეს მატჩი მესამე ადგილისათვის. მათი მეტოქეები მასპინძლები, იტალიელები იყვნენ. ინგლისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: შილტონი, სტივენსი, უოლკერი, პარკერი, რაიტი (უოდლი), დორიგო, მაკმაჰონი (უები), პლატი, სტივენი, ბიორდსლი, ლინეკერი. ამ მატჩის წაგების (1-2, პლატი) შედეგად ინგლისელები მეოთხე ადგილზე გავიდნენ, თუმცა სამშობლოში მათ ძალიან კარგად დახვდნენ. ამდენი მარცხის შემდეგ მსოფლიო პირველობაზე საპრიზო ადგილის დაკავება, ცხადია, კარგ შედეგად მიიჩნიეს.

**გივი გამრეკელი**

# FRANCE 98 INFORMATIONS

## მექსიკის ნაკრები – კარგი არაფერი

სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობიდან დაბრუნდა მექსიკის ნაკრები. ტურნეში კარგი ვერაფერი ნახა. არგენტინულ კლუბ „ბოკა ხუნიორსთან“ წააგო ანგარიშით 1-3, ჩილეს „უნივერსიდად კათოლიკასთან“ — 1-5, ჩილეს ახალგაზრდულ ნაკრებთან — 1-2.

ერთი სიტყვით, სამი მატჩი — სამი წაგება. მექსიკელთა მწვრთნელი მანუელ ლაპუენტე იხტიბარს არ იტეხს — ამბობს, რომ გუნდის ნამდვილი მზადება ახლა დაიწყება!

## კლინსმანის მოულოდნელი ოპტიმიზმი

გერმანიის ნაკრების კაპიტანი იურგენ კლინსმანი ხან საკმაოდ სევდიან განცხადებებს აკეთებს, ხანაც ოპტიმიზმით იმსჭვალება და, როგორც იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. ამ დღეებში მან განაცხადა (ბრაზილიელებთან ამხანაგური მატჩის წაგების მიუხედავად ანგარიშით 1-2), რომ გერმანელებს შეუძლიათ ბრაზილიელებთან მოგება, და, მან, კლინსმანმა იცის, როგორ უნდა გაკეთდეს ეს!

— დიახ, მათ ისეთი ვარსკვლავები ჰყავთ, როგორიცაა წყვილი რო-რო (რონალდო - რომარიო), ისინი ფავორიტებად არიან მიჩნეული, დიდ პატივისცემასაც იმსახურებენ. მაგრამ, როდესაც მსოფლიო პირველობაზე მიემგზავრები ისეთი შესანიშნავი გუნდია, როგორიც ჩვენია, რომელსაც ბაზისიც აქვს, პოტენციალიც, მტკიცე ხასიათი, რაც დიდად შველის გადამწყვეტ მომენტებში, მაშინ შეგიძლია ნებისმიერი ნაკრები დაამარცხო, რაც შეეხება ჩვენს წაგებას ბრაზილიელებთან, ეს ხომ ამხანაგური მატჩი იყო.

## „სუბი“ ინგლისში გადავა

განთქმულ ესპანელ მეკარეს, ეროვნებით ბასკ ანდონი სუბისარეტას ქვეყნის ნაკრებში ყველაზე მეტი, 123 მატჩი აქვს ჩატარებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო რეკორდის გამეორებამდე, რომელიც შვედ თომას რაველის ეკუთვნის, სულ 20 მატჩია დარჩენილი. ეს კი არც ისე მიუღწეველი რიცხვია. გარდა ამისა, ესპანურ ლიგაში „სუბის“ 600-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული ბილბაოს „ატლეტიკის“, „ბარსელონასა“ და „ვალენსიას“ შემადგენლობაში. მან უკვე მიიღო მონაწილეობა მსოფლიოს სამ ჩემპიონატში, მომავალი — საფრანგეთში — მეოთხე იქნება.

როგორც ანდონი სუბისარეტამ განაცხადა, ზაფხულიდან იგი აპირებს ინგლისში გადასვლას, სადაც დაასრულებს კიდეც თავის ხანგრძლივ საფეხბურთო კარიერას.



## ბერხკამპის საუკეთესო სეზონი

ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელ დენის ბერხკამპს ლონდონის „არსენალში“ იმედის გაცრუებაც ახსოვს, მაგრამ ეს სეზონი მისთვის საუკეთესო აღმოჩნდა. ამას წინათ იგი სპორტულმა ჟურნალისტებმა ინგლისში 1998 წლის №1 ფეხბურთელად აღიარეს. მეორე ადგილზე გავიდა ენდი კოული („მანჩესტერ იუნაიტედი“), მესამეზე კი ახალგაზრდა ვარსკვლავი მაიკლ ოუენი („ლივერპული“). საერთოდ, უცხოელებს ინგლისში წლის საუკეთესო ფეხბურთელებად იშვიათად ასახელებენ.

ბერხკამპმა განაცხადა, რომ მას ინგლისში დიდი გეგმები აქვს. იგი სწორედ „არსენალში“ აპირებს თავისი კარიერის დასრულებას, თუმცა იქამდე ჯერ კიდევ ძალიან შორსაა. ბერხკამპი ძალიან კმაყოფილია, რომ ინგლისელები უპირატესობას შემტევ ფეხბურთს ანიჭებენ და გულშემატკივრებსაც სწორედ ეს მოსწონთ.

ბერხკამპს ამ მოკლე ხანში ინგლისის თასის ფინალური მატჩი მოელის „უემბლიზე“, გარდა ამისა „არსენალი“ დიდი წარმატებით თამაშობს ქვეყნის ჩემპიონატზე, სადაც მას კარგი შესაძლებლობები აქვს გადაასწროს „მანჩესტერ იუნაიტედს“ და გახდეს ჩემპიონი.

## ბარტეზი ლამას სჯობია

როგორც საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი ემე ჟაკე ფიქრობს, იმისათვის, რომ რომელიმე მოთამაშე მიიწვიოს, საჭიროა ფეხბურთელი თავის კლუბში სისტემატურად გამოდიოდეს ძირითად შემადგენლობაში. ძალიან კარგია, რომ ნაკრების წევრების უდიდესი უმეტესობა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

— ერთადერთი გამონაკლისი ბიქსენტ ლაზარაზიუა, რომელიც ძალიან კარგად თამაშობს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ძალიან იშვიათად გამოდის მიუნხენის „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში.

● ***ბერნარ ლამა დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ ახლა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედში“ თამაშობს. ხომ არ ნიშნავს, რომ მას კვლავ გამოუჩნდა ნაკრებში დაბრუნების შესაძლებლობა?***

— თუკი იგი კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაიმკვიდრებს და ადრინდელ თამაშს გვიჩვენებს, მაშინ, რა თქმა უნდა, ნაკრებს დაუბრუნდება. მაგრამ ახლა ჩვენი ნაკრების ძირითადი მეკარე მაინც ფაბიენ ბარტეზია.

## რობსონი უყვართ ჰოლანდიელებს

განთქმული ინგლისელი მწვრთნელი ბობი (რობერტ) რობსონი სად აღარ მუშაობდა: იყო „იფსვიჩ თაუნის“, ლისაბონის „სპორტინგის“, „პორტუს“, „ბარსელონას“, ინგლისის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელი. მას სიამოვნებით იგონებენ ჰოლანდიაშიც, სადაც მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სათავეში ჩაუდგა „პსვ ეინდჰოვენს“, და ზედიზედ ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

ახლა 66 წლის რობსონი, რომელმაც თავის დროზე შესანიშნავად ითამაშა თბილისში კლუბ „ვულვერჰემპტონ უონდერერსის“ შემადგენლობაში, „ბარსელონადან“, სადაც ტექნიკური დირექტორის პოსტზე მუშაობდა, კვლავ ჰოლანდიაში ბრუნდება იმავე „პსვ ეინდჰოვენში“. კონტრაქტი ერთწლიანია. კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ „ეინდჰოვენს“, რომელიც ახლა ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილზეა ამსტერდამის „აიაქსის“ შემდეგ, კვლავ ექნება პრეტენზია ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად. ამ შეჯიბრებაში, დებულების თანახმად, ჰოლანდიიდან ორი გუნდი დაიშვება.

## ბევრს ვერაფერს მიაღწია, მაგრამ...

ამ ზაფხულს თავის ძველ კლუბ „მილანში“ დაბრუნებულმა ფაბიო კაპელომ ამჯერად ბევრს ვერაფერს მიაღწია, ამასობაში კი მისი შემცვლელი იუპ ჰაინკესი დაპირებებს ვერ ასრულებს მადრიდის „რეალში“. ამიტომაც გაისმა ხმები, რომ ახალი სეზონიდან კაპელო ისევ „რეალში“ იმუშავებს.

ეს ხმები ამ დღეებში თვით კაპელომ უარჰყო.

— „მილანის“ დატოვებას არ ვაპირებ. მინდა შევქმნა ისეთი გუნდი, რომელიც შემდეგი სეზონიდან ჩემპიონობისათვის იბრძოლებს. ახლა სატურნირო ცხრილის შუაგულში ვართ, მაგრამ ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ წარსულის მწარე გაკვეთილები.

„მილანთან“ ფაბიო კაპელოს კონტრაქტი 2000 წლის ივნისამდე გაგრძელდება. მის თანახმად იგი ყოველწლიურად 3 მილიარდ ლირას (1,6 მილიონ დოლარს) იღებს. მაშ ასე, კონტრაქტი არ ირღვევა.

## „უდინეზედან“ „ატლეტიკოში“ გადავა

ალბერტო ძაჩერონი ადრე პირველხარისხოვან იტალიელი მწვრთნელების რიგებს არ მიეკუთვნებოდა, მაგრამ როცა ნახეს, როგორ მუშაობს იგი პროვინციულ „უდინეზეში...“

ამ დღეებში მადრიდის „ატლეტიკოს“ თავნებობით და ეგოცენტრიზმით ცნობილმა პრეზიდენტმა ჰესუს ხილმა განაცხადა, რომ ახალი სეზონიდან კონტრაქტი რადომირ ანტიჩთან, რომელმაც გუნდს ერთი წლის წინათ ჩემპიონობა მოუტანა, აღარ განახლდება. პრეზიდენტი გაამწარა იმ ამბავმა, რომ „ატლეტიკო“ ვერც „ბარსელონას“ უწევს კონკურენციას და ვერც მადრიდის „რეალს“.

ანტიჩის ნაცვლად კლუბს სათავეში ჩაუდგება ალბერტო ძაჩერონი.

## ციხე გამოასწორებდა, მაგრამ...

ცნობილი ბელგიელი თავდამსხმელი ჟილ დე ბილდე ადრე ბრიუსელის „ანდერლეჰტში“ თამაშობდა, ახლა ჰოლანდიის „ეინდჰოვენში“ გამოდის. ამ დღეებში ბრიუსელის სასამართლომ 9 თვის პატიმრობა მიუსაჯა (მართალია აღსრულების 3 წლით გადადებით) და ღარიბი უბნების ბავშვებთან ფეხბურთის იძულებითი თამაში.

საქმე ის არის, რომ ჟილ დე ბილდი მეტისმეტად თავშეუკავებელია, და, როგორც იტყვიან, სულ მუშტებზე იყურება. 1995 წელს ბელგიელ მოთამაშეს სცემა და კინაღამ ციხეში არ აღმოჩნდა. მაშინ მან, როგორც გამოცხადდა, საჯაროდ მოინანია, მაგრამ...

მეტოქეს „ანდერლეჰტ“ — „ალოსტის“ შეხვედრაში დე ბილდემ ისე გაარტყა, რომ ცხვირის ძვალი ჩაუმტვრია. ცნობილი გახდა ისიც, რომ ადრეც ვიღაც უცემია.

როცა დაზარალებულმა კრისტ პორტემ ხულიგანს სასამართლოში უჩივლა, მოსამართლემ ჩათვალა, რომ 6 წელიწადში სამი ასეთი დანაშაული უკვე მეტისმეტია. იგი მოითხოვდა, რომ დე ბილდე ნამდვილად და მკაცრად უნდა დაესაჯათ ყოველგვარი აღსრულების გადაუდებლად.

ბელგიელი ვარსკვლავი ამჯერადაც გადარჩა. ვნახოთ, რას მიუსჯიან მას მომდევნო ხულიგნობის შემდეგ...

## ავთანდილ კაპანაძე – 12, რებროვი – 12

უკრაინის ჩემპიონატში გრძელდება ორი სნაიპერის: ავთანდილ კაპანაძისა (ტერნოპოლის „ნივა“) და სერგეი რებროვის (კიევის „დინამო“) მეტოქეობა. ავთანდილი, რომელიც თავის ძმა ტარიელთან ერთად მოკრძალებულ კლუბში თამაშობს, ტოლს არ უდებს თავის ცნობილ მეტოქეს — უკრაინის ნაკრების თავდამსხმელს.

უკრაინის პირველობის 19 ტურის შემდეგ ა. კაპანაძე და რებროვი სნაიპერთა ცხრილში 12-12 გატანილი გოლით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# ზონაში მას ქურდი ჰფარველობდა, მეტსახელად „ზვერი“

ლიავებით მაგ არამზადას? შეუფარდეთ უმაღლესი ზომა და მორჩეს ლაპარაკი!“ — „კი მაგრამ, ასეთი მუხლით ათი წელია ჰერი“, — მობოდიშებით წაილუღლუღა მსაჯულმა. „მაშ რაღაშია საქმე? მიარჭვით ათი!“

სასამართლომ, რომელზეც ხუთი ათას კაცზე მეტი მოვიდა, მართლაც ათწლიანი განაჩენი გამოიტანა.

იმ დღეს, როცა სევიდოვის ზურგს უკან ჩაჯანგებული, საზიზღრად მოჭრიალე ჭიშკარი ჩაიკეტა, იგი ერთი წამით შეჩერდა და იქაურობა შეათვალიერა: ჭუჭყიანი, წახრილი ბარაკები, სადღაც შორს მიკარგული მავთულხლართიანი ღობე; კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისთვის — „ათი წელიო“, მაგრამ შიგნით არაფერი შეძრულა და ეს არც გაჰკვირვებია.

...ბიბლიოთეკაში მას ლენინის კუთხიდან აწაპნული წითელი დროშით დაფარული მაგიდა ელოდა. იურას კინაღამ გული შეუღონდა: ზეკების სიხარულით აღსავსე მისალმების შეძახილები არც ესმოდა, მხოლოდ წითელი ხიზილალა, ხორცი, ძეხვი, ყველი, თეთრი პურის დიდრონი, ყუამოტეხილი ნაჭრები ედგა თვალწინ. მთელი ამ ფუფუნების შუაში კოხტად ჩაემწკრივებინათ „ლიმონურა“. სუფრის თავში მაღალი, ლამის ორმეტრიანი ქართველი წამომჯდარიყო, „Садись, дорогой, — მეფური ჟესტით მიიპატიჟა მან დამშეული ფეხბურთელი. — Бери, что хочишь. Ты здесь уважаемым человеком будешь, потому что я футбол люблю. Если кто оскорбит, мне говори. Ты хорошо играл. Я тебе даже за это прощу то, что „Динамо" тбилисскому забивал. Ну скажи, „Динамо" (Тбилиси) хорошая команда, а?". პირგამოტენილი სევიდოვი მექანიკურად უქნევდა თავს.

ქურდი, მეტსახელად „ზვერ“ მერმე, ცოტა გვიან, მართლაც გადაარჩენს იურას, როცა მას დანიშ[illegible]

კერძოდ, უარი არ ეთქვა ამ „თანამდებობაზე": "Рибятам будешь помогать. Почетная работа". იმ დროს კი იქ გავლენის სფეროთა მძიმე გაყოფა მიმდინარეობდა „ზვერსა“ და უკრაინელ ქურდებს შორის. „კონკურენტული ფირმა“ როგორღაც საღამოთი მივიდა სევიდოვთან, რომელსაც სახვალიოდ ტყის მოჭრაზე გასამგზავრებელი ბრიგადის შემადგენლობა უნდა მოენიშნა. მივიდა და სთხოვა არ გაეგზავნა. მათი ბიჭი შალდიბინი. კაცს დაბადების დღე აქვს, ეცი პატივი. სევიდოვი დათანხმდა, ხოლო, როცა მოაზრება დაიწყო, ისე გამოვიდა, რომ შალდიბინის დაუჯნებლობა ვერაფრით ხერხდებოდა. განმწესებელი შევიდა უკრაინელებთან, რომლებიც უკვე გვარიანი შეზარხოშებული იყვნენ და პატიოსნად უთხრა ამის თაობაზე. „ეგ არაფერიაო“, მხრები აიჩეჩა მედღეობემ.

მეორე დღეს ბანაკის უფროსი თვალებამღვრეული მიიჭრა სევიდოვთან: „შალდიბინი არ არის ტყეში. მის მაგიერ უკრაინელებმა სხვა გაგზავნეს“. ტყეში ბრიგადები კაპიშონიან ბრეზენტის მოსასხამებით მიემგზავრებოდნენ, კაპიშონი კი სახეს სავსებით ფარავს; ამიტომ დილის გამახებაზე შალდიბინის ნაცვლად, რომელიც გუშინდელი ღრეობის შემდეგ მაგარი ნაბახუსევით იყო გაწამებული, ადვილად შეიძლებოდა მისი ძმაკაცი გამოსულიყო, რაც უთუოდ გააკეთა კიდეც. ნაქეიფარი გვარიანად შეახურეს, მოსაღამოებულზე კი ფეხბურთელს კვლავ ეწვია „კონკურენტთა“ დელეგაცია. „შენ ეს ჩვენი ბიჭი რატომ ჩაუშვი?“ — ერთ-ერთმა უკრაინელმა ქურდმა [illegible]

ბი გაუღრჭიალა ქურდმა. სევიდოვი რომ თავის ბარაკში დაბრუნდა, სახეზე ფერი აღარ ედო. „ზვერი“ მაგარი მთვრალი კი იყო, მაგრამ იგრძნო, რომ რაღაც ვერ იყო საქმე რიგზე და გამოკითხვა დაუწყო შემოსულს. არეულად მონაყოლი რომ მოისმინა, ბრძანა: "Все ясно, сиди здесь, никуда не ходи. Я разберусь". ფეხბურთელმა დააპირა პროტესტი, მაგრამ „ზვერმა“ გააჩერა და მსუბუქად მიაგდო ტახტებისაკენ. „Эта наши разборки". შალდიბინს ბარაკში გამოუძახეს. "Тебя предупреждали, что надо выйти на работу?" — მუქარით ჰკითხა „ზვერმა“. „კი“ — "А что ж ты задумал всех обдурить и еще обвинял футболиста?" შალდიბინმა რაღაც გაურკვევლად წაიბურტყუნა. „ჩაიხადე შარვალი“ — დაუღრინა „ზვერმა“. სევიდოვს ამ საშინელებისაგან ტანში გააცივა და ისევ მივარდა „ზვერს“. „კარგი, კარგი არ გინდა ეგ“. ამჯერად ქურდმა უფრო მძლავრად ჰკრა ხელი: "Сказал, сиди. Не твое дело". უკრაინელმა მორჩილად ჩაიხადა შარვალი. "Без штанов - уже пидарас", — გადაიხარხარა „ზვერმა“, ხუმრობით კმაყოფილმა. შემდეგ ოდნავ წამუყო თავის ბიჭებს, რომლებმაც ფეხებში სტაცეს ხელი შალდიბინს და რამდენჯერმე მთელი გაქანებით მიანარცხეს კედელს. საცოდავს სახე სისხლიან დომხალად ექცა. „ზვერმა“ ბრძანა დასჯილი კუთხეში მიეგდოთ და ის, ერთიანად დასისხლიანებული, იქ ნახევარი საათი იწვა, თან პატარა ნადირივით კრთოდა და კრუსუნებდა. „ზვერმა“ მხოლოდ 30 წუთის შემდეგ დართო [illegible]

ტაკიდან“ არც ერთი წერილი არ მისულია. მამა უზიდავდა, სან სანიჩი. ზეკები თამაშობდნენ — ბარაკი ბარაკთან, რაზმი რაზმთან. ისინი, ვისაც ბუცები არ ყოფნიდათ, ჩუსტებით დარბოდნენ. ზოგჯერ ბურთი ღობურას იქით გადავარდებოდა. ჯარისკაცი, რომელიც კოშკურიდან გადახრილიყო და სხვებთან ერთად მთელი ძალით გაჰკიოდა „გოლიო“, დიდსულოვნად აიქნევდა ხელს. რომელიმე ზეკი მავთულის ქვეშ გაძვრებოდა ფოცხიანად და ბურთიანად ბრუნდებოდა, თან გულმოდგინედ ასწორებდა მას უკან „გადახნულ“ მიწას.

ერთხელაც უცებ ცნობა მოვიდა: „ზვერს“, რომელსაც რამდენიმე მკვლელობისათვის ასტრონომიული ვადა ჰქონდა მისჯილი, ათავისუფლებენო. სევიდოვისათვის ეს მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა: სიცოცხლე აღარ ეწერა. უკრაინელი ქურდები უკვე მიმოდიოდნენ ახლო-მახლო და მრავალმნიშვნელოვნად უკრავდნენ თვალს: „ყველაფერი გვახსოვს; როგორც კი — მაშინვე...“ ჩამოვიდა სან სანიჩი, ერთი ამბავი ატეხა. მისი შვილი „ქიმიაზე“ გადაიყვანეს... მერე კი სულაც გაანთავისუფლეს — ამნისტია.

სევიდოვი ნოემბერში ჩამოვიდა მოსკოვში. 28 წლისას, თავისუფლად შეეძლო ფეხბურთს დაბრუნებოდა, როგორც ეს სტრელცოვმა გააკეთა; ფიზიკურად კი შეეძლო, მაგრამ მორალურად — არა.

— ელაპარაკეთ კი ამის თაობაზე სტრელცოვს?

იურა იღიმება, თბილად და ცოტა ნაღვლიანად: [illegible]

*დაგვქირავებია: უამისოდაც ვიცოდი, რა გადაიტანა, მან კი — რა გადავიტანე; შემდეგ, ვეტერანების გუნდში რომ გამოვდიოდით, ერთ ნომერში ჩავსახლდებოდით ხოლმე. ზოგჯერ, სტრელცოვთან ყოფნისას, ძველი, ბრძენი დუენიას როლში მიწევდა გამოსვლა. მიწევდა იმ კომპანიებს გამეშორებინა, სადაც ბევრს სურდა მასთან დალევა.*

რაღაცას ფიქრობს და დაბალი ხმით დასძენს:

— *მგონია, სტრელცოვის აი ეს არაჩვეულებრივი პოპულარობა კიდევ იქიდან მოდის, რომ იჯდა; მაშინ ხომ ჩვენთან ნახევარმა ქვეყანამ მოიხადა სასჯელი; და ეს რომ სტრელცოვსაც შეემთხვა, სიმბოლური იყო.*

— და თქვენც რომ შეგემთხვათ.

— *და მეც, ოღონდ მე სტრელცოვი არა ვარ. ოდესღაც მეძახდნენ მეორე სტრელცოვს, მაგრამ ვერ გავუტოლდი; ვერ შევძელი ან ვერ მოვასწარი...*

მთელი ეს წლები სევიდოვი, ასე თუ ისე, მწვრთნელი იყო. უფრო პროვინციულ, შტატმიღმა გუნდებში, თუნდაც იმავე რიაზანში... ახლა აგერ იმ ბიჭუნებთან მუშაობს, ვინც ფეხბურთის სკოლების შემდეგ დაიწუნეს „დიდმა“ კლუბებმა.

— *ვფიქრობ, შევძლებდი დიდი მწვრთნელიც გამხდარიყავი, როგორც მამაჩემი. ვგრძნობდი ჩემში შესაბამის უნარს. ანკეტამ ყველაფერი გამიფუჭა.*

იმეორებს სულ დასაწყისში ნათქვამ ფრაზას: „სამუშაოზე როცა უარს მეუბნებოდნენ, მოვბრუნდებოდი და მივდიოდი“... თუ აპატია? აპატია. ეგ არის, რომ დღემდე იური ალექსანდროვიჩ სევიდოვი, როცა მოსკოვში ავტომანქანით მგზავრობს, კოტელნიკოვზე იმ მაღლივის გვერდის ავლას ცდილობს ხოლმე; და დღემდე ვერ ახერხებს გახედოს მაღლივს. ოცდაათ წელზე მეტი გა[illegible]

„მოსკოვსკი კომსომოლეც“, №63.
თარგმნა
თამარ ეპანიძე

## ფორმულა-1: „მაკლარენის" ჰეგემონია „ფერარიმ" და შუმახერმა შეწყვიტეს

ბუენოს-აირესის დიდი პრიზის რბოლა „ფერარისა" და მისი ლიდერის მიხაელ შუმახერის ტრიუმფით აღინიშნა. გერმანელმა პილოტმა 22 წამით ჩამოიტოვა „მაკლარენის" ფინელი მრბოლი მიკა ჰაკინენი, თუმცა, პირველი ორი ეტაპის გამარჯვებული მაინც ლიდერობს საერთო ჩათვლაში. როგორც წინა რბოლებს, არც ამ ეტაპს ჩაუვლია უინციდენტოდ — დასაწყისშივე შუმახერის ბოლიდი შეეჯახა „მაკლარენის" მანქანას, რომელსაც დევიდ კულჰარდი მართავადა. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ შუმახერმა განგებ „გადააგდო" მეტოქის მანქანა და, თუ ეს დამტკიცდა, სულაც დისკვალიფიკაცია ელის.



მიხაილ შუმახერი

## საზღვარგარეთული საფეხბურთო ჩემპიონატები

**ინგლისი** • ორშაბათს, ინგლისის პრემიერლიგაში გაიმართა მორიგი XXIV ტური. ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი შედგა ბლექბერნში, სადაც ადგილობრივი „როვერსი" შეხვდა ჩემპიონობის მაძიებელ ლონდონის „არსენალს". ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ჰოლანდიელმა დენის ბერგკამპმა, ვისაც 3 თამაში ჰქონდა გამოტოვებული დისკვალიფიკაციის გამო და მისი დიდი დამსახურება იყო ის, რომ უკვე მე-11 წუთისთვის ლონდონელები 3-0 იგებდნენ მატჩს. პირველი ბერგკამპმა გაიტანა, ხოლო მეორე და მესამე პარლორმა დენისის უშუალო მონაწილეობით. მეოთხე გოლი 18 წლის ფერადკანიანი ფრანგის ნიკოლა ანელკას ანგარიშზეა. მეორე ტაიმში წამოვიდა... თოვლი. მსაჯმა ბურთიც კი შეცვალა: თეთრი – ფორთოხლისფერზე. თუმცა, ამან მასპინძლებს ვერ უშველა – თოვლშიც სტუმრები გაცილებით უკეთ ირჯებოდნენ და დამსახურებულად გაიმარჯვეს 4-1. ახლა „არსენალი" მხოლოდ ქულითღა ჩამორჩება „მანჩესტერ იუნაიტედს", თანაც 2 გამოტოვებული მატჩი აქვს ჩასატარებელი.

ორშაბათსვე „ლივერპულმა" თავის „ენფილზე" 2-1 სძლია „კრისტალ პალასს", ვისაც აღარა აქვს შანსი პრემიერლიგაში დარჩენისა, ხოლო „ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის მეორე საგზურისათვის იბრძვის.

ალან შირერის და თემურ ქეცბაიას „ნიუკასლმა" კი თებერვლის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა აუტსაიდერ „ბარნსლისთან" – 2-1. ალან შირერმა ერთი გოლი გაიტანა, ერთიც მისი დარტყმული ძელმა აისხლიტა და თავით შეედმა, ყოფილმა მილანელმა ანდრეას ანდერსონმა დაუმატა.

ამრიგად, ლიდერობენ: „მანჩესტერ იუნაიტედი" – 67 ქულა 34 თამაშიდან, „არსენალი" – 66 (32), „ლივერპული" – 58 (33).

**ესპანეთი** • კატალონურ „ბარსელონას" შაბათს მხოლოდ 1 ქულა სჭირდება „სარაგოსასთან" მატჩში, რათა მიუწვდომელი გახდეს სხვა გუნდებისათვის. ამრიგად, პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ „ბარსა" ქვეყნის 15-გზის ჩემპიონია!

## ახალი ამბები

**კალათბურთი.** ნბა-ში გაიმართა მორიგი მატჩები. მთავარი მოულოდნელობა „ხარების" დამარცხება გამოდგა: „ინდიანამ" „ჩიკაგოს" 114:105 სძლია. სხვა შედეგები: მინესოტა – კლიპერსი 107:87, ლეიკერსი – სან-ანტონიო 99:75, ატლანტა – ვაშინგტონი 91:81, სიეტლი – ჰიუსტონი 103:95.

**მოტო-სპორტი.** დონინგტონში (ინგლისი) გაიმართა მსოფლიოს უძლიერეს მრბოლთა ასპარეზობის მეორე ტური, რომელიც იაპონელმა ჰაგამ მოიგო, მეორე იყო ბრიტანელი კორსერი, მესამე – იტალიელი კილი.

**გოლფი.** მსოფლიოს პირველი გოლფისტი გახდა ელსი, ხოლო წინათ უძლიერესი თაიგერ ვუდსი – მეორე იყო. ასეთი შედეგით დამთავრდა ჯორჯიის შტატში (აშშ) მოწყობილი მსოფლიოს ჩემპიონატი.

**მოგვაწოდა ბია ახალაძემ**

## მსოფლიოს სპორტულ ფედერაციებში

# ბრუნო გრანდი ბრალს სდებს წინამორბედებს და გარდაქმნებს გვპირდება

„ახალი ცოცხი" განა მარტო კარგად „ჰგვის", მას ახალი იდეებიც მოაქვს, როცა „ცოცხი" ამა თუ იმ დაწესებულებას, სულაც მსოფლიოს ფედერაციას ჩაუდგება სათავეში. ამ მხრივ გამონაკლისი არც ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის (ფიჟი) ახალი პრეზიდენტი, იტალიელი ბრუნო გრანდია, რომელმაც ატლანტის ოლიმპიადის დღეებში გამართულ კონგრესზე რუსეთელი იური ტიტოვი შეცვალა.

გთავაზობთ ინტერვიუს ნაწყვეტს, რომელიც ფიჟის ჟურნალში გამოქვეყნდა.

● ***თქვენი ნოვატორული იდეები აფართოებს ტანვარჯიშის „ჰორიზონტებს".***

— ჩვენი წინამორბედები არა ცდილან რაიმე რომ ეღონათ მათი სრულყოფისათვის, რის გამოც ტანვარჯიში თავისთავად ვითარდებოდა. ფიჟი კი ერთგვარად ამ პროცესის მუხრუჭად იქცა. ეროვნულმა ფედერაციებმა, ფიჟთან ერთად მოახდინეს აუცილებელი ცვლილებები, რაც ტექნიკურ რეგლამენტს და შეჯიბრების წარმომადგენლობას ეხება. იგი აუცილებელია ეკონომიკური პრობლემების გადასწაყვეტად, აგრეთვე პრესის, ტელევიზიისა და სპონსორთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ესაა ახალი სტრატეგია, რომელსაც ვეცდები მხარი დავუჭირო.

● ***დაპარაკია, რომ ფიჟს სურს შეფაროს ბატუტზე მხტომელები და სპორტული აკრობატები?***

— ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად, 1997 წლის ასამბლეამ უარყო კონფედერაციის იდეა. ახლა ამ სახეობათა წარმომადგენლებს სურთ ფედერაციაში ტექნიკური კომიტეტი შექმნან. ასეთი გადაწყვეტილება ბიუროკრატიულ გაუგებრობასა და ქაოსს გამოიწვევს.

● ***სოკმა და სიდნეის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტეს ასპარეზობის პროგრამაში შეიტანონ ბატუტზე ხტომა?***

— თუ სოკ-ი ტანვარჯიშის კვოტას არ გაზრდის, ჩვენს პროგრამას ვერ გავაფართოებთ. ბატუტზე ხტომის ჩართვა იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ტანვარჯიშული გუნდები შვიდიდან ექვს სპორტსმენამდე დავიყვანეთ.

● ***როგორი რეაქცია მოჰყვა სპორტულ ტანვარჯიშში სავალდებულო პროგრამის გაუქმებას?***

— ოცი წელი ვიბრძოდი სავალდებულო პროგრამის გასაუქმებლად. იგი არავითარ სტიმულს არ აძლევს ტანვარჯიშის განვითარებას, პირიქით, ხელს უშლის მას. სავალდებულო პროგრამის შემდეგ ყველა მედალი უკვე გათამაშებულად ითვლება. სხვათა შორის, ეს ვარჯიშები ყველაზე სახიფათოა სპორტსმენის ჯანმრთელობისათვის. მის გაუქმებას ყველა გაგებით შეხვდა.

● ***რას იტყვით თქვენი გამოკვლევის — ქალებზე ტანვარჯიშის გავლენის შესახებ? კერძოდ იმაზე, თითქოს იგი ხელს უშლის გოგონების ზრდას?***

— უკვე ოცი წელია ვსწავლობ ტანვარჯიშის გავლენას ადამიანის ორგანიზმზე და ყოველთვის უარვყოფ, იმას რომ, სპორტის ეს სახეობა ამუხრუჭებს ადამიანის ზრდას. აქტიური ზრდის ხანა ემთხვევა მძიმე ვარჯიშსა და შეჯიბრებებს, მაგრამ ქალები არაერთი მიზეზის გამო სხვადასხვა დროს „მწიფდებიან". შეხედეთ სვეტლანა ბოგინსკაიას, სვეტლანა ხორკინას, ელენა დოლგოპოლოვას, შენონ მილერს — რა, ისინი ჯუჯები არიან! ეს ტოპ-მოდელია!

● ***როგორ უყურებთ მსოფლიოში სპორტული აერობიკის ფედერაციების მომრავლებას?***

— ჩემი თვალსაზრისით ეს სავსებით ნორმალურია. თუ გადაწყდება სპორტული აერობიკის ოლიმპიურ პროგრამაში შეტანა, რწმუნება ჩვენს ფედერაციას დაეკისრება. სხვათა შორის, თუ მათ სურთ ჩვენთან თანამშრომლობა, ჩვენი კარი მუდამ ღიაა მათთვის!

# 30 აპრილს განახლდება

მესამე წრის შეხვედრებით დროებით შეწყდა საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) გათამაშება, რომელიც 30 აპრილს განახლდება.

მესამე წრის მთელ რიგ მატჩებში ორი ძირითადი პარტია საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებულის გამოსავლენად, ამიტომ დაინიშნა სწრაფი და ზოგჯერ ელვისებური შეხვედრებიც კი.

დიდოსტატი გენადი ზაიჩიკი დამატებით სწრაფ პარტიებში დამარცხდა ეროვნულ ოსტატ დავით შენგელიასთან – 2:4. ეს ჯერჯერობით ამ შეჯიბრების ყველაზე მოულოდნელი შედეგია. დიდოსტატმა ლაშა ჯანჯღავამ ასევე დამატებით პარტიებში მიაღწია უპირატესობას ეროვნულ ოსტატ ალექსანდრე ყაშაშვილთან, დიდოსტატმა გიორგი ყაჭეიშვილმა – ეროვნულ ოსტატ მიხეილ მჭედლიშვილთან 4:3 (აქ ელვისებური პარტიის გათამაშებაც კი გახდა საჭირო), საერთაშორისო ოსტატმა გია ბალათუროვმა მოუგო საერთაშორისო ოსტატ სოფიკო ტყეშელაშვილს – 2:0, საერთაშორისო ოსტატმა ხვიჩა სუპატაშვილმა – ფიდეს ოსტატ გიორგი ბახტაძეს 1,5:0,5, საერთაშორისო ოსტატმა სანდრო დგებუაძემ – საერთაშორისო ოსტატ დავით ლობჟანიძეს – 1,5:0,5.

ამრიგად, დიდოსტატები ჯანჯღავა და ყაჭეიშვილი, საერთაშორისო ოსტატები ბალათუროვი, სუპატაშვილი და დგებუაძე, აგრეთვე ეროვნული ოსტატი შენგელია, გავიდნენ საქართველოს ჩემპიონატის დასკვნით ნაწილში, სადაც მათ დიდოსტატები გია გიორგაძე და ზურაბ სტურუა შეუერთდებიან.



3



34



6



18



27

## საფეხბურთო კროსვორდი

**თარაზულად:** 1. წარსულში, პირველი ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი, 3. 80-იანი წლების პოლონელი თავდამსხმელი ***(ფოტო),*** 5. 80-იანი წლების საფრანგეთის ნაკრების მეკარე, 7. „ჩელსის" იტალიელი მწვრთნელი, 9. საფრანგეთის კლუბი, 11. „მილანის" ლიბერიელი თავდამსხმელი, 13. ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი, 16. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 17. „დორტმუნდის" მწვრთნელი, 20. წარსულში ცნობილი ინგლისელი მეკარე, 21. გერმანელი ფეხბურთელი, 1986 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. 24. სსრ კავშირის ნაკრების მცველი, 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი, 25. მესამე მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი, 27. ევროპის ჩემპიონი ეროვნული ნაკრები, 29. იტალიური კლუბი, 31. 1980-81 წლებში თასების თასზე თბილისის „დინამოს" მეტოქე კლუბი, 33. სტადიონი, სადაც VI მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართა, 34. „სელტას" რუსი ლეგიონერი ***(ფოტო),*** 35. იტალიის ნაკრების ნახევარმცველი 80-იან წლებში, 36. პსჟ-ს ბრაზილიელი ლეგიონერი.

**შვეულად:** 1. ჰოლანდიის კლუბი, 2. 1956 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი რუსი თავდამსხმელი, 3. „ბაიერნის" ნახევარმცველი, 4. ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი, 5. საფრანგეთის კლუბი, 6. ხორვატიის ნაკრების მცველი ***(ფოტო),*** 8. ბრაზილიელი თავდამსხმელი, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 10. ფრანგი ფეხბურთელი, 1958 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი, 12. „ოქროს ქალღმერთი", რომელიც ბრაზილიელთა საკუთრება გახდა, 14. მეორე მსოფლიო ჩემპიონატის იტალიელი ფეხბურთელი, 15. ფრანგი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონატში 13 გოლის ავტორი, 18. ჩეხი მეკარე ***(ფოტო),*** 19. მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის არბიტრი, 22. 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი, 23. თბილისის „დინამოს" ყველა დროის საუკეთესო მარცხენა გარემარბი, 26. სამხრეთ ამერიკის ნაკრები, 27. ჩეხეთის ნაკრების თავდამსხმელი ***(ფოტო),*** 28. „პორტოს" ბრაზილიელი ლეგიონერი, 29. გერმანიის კლუბი, 30. სომხეთის კლუბი, 31. ნიკეს თასის იუველირი, 32. ავსტრიული კლუბი.



შეადგინა კარლო სალუქვაძემ (ოზურგეთი)

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ბეკენბაუერი, 5. „ჩელსი", 11. ვლასოვი, 16. რივა, 17. აუტი, 21. ტაიმი, 23. ბრემე, 25. ლებეფი, 27, პროსტი, 28. ადამსი, 29. ჩეა, 30. მეჯიკი, 31. ლენდლი, 33. ტომასი, 35. „ლაციო", 38. პაიკი, 42. ინსი, 43. ლიგა, 46. შტრუნცი, 51. რაიტი, 52. ფრანჩესკოლი.

**შვეულად:** 1. ბაბელი, 2. კეტჩი, 3. „გურია", 11. მალაყი, 12. ჩოგანი, 14. „გალათასარაი", 15. „ოლიმპიაკოსი", 16. რიმე, 18. იუკო, 19. ფრეზერი, 20. ბატისტა, 22. მესხი, 24. რიერა, 26. ვეა, 32. დიდი, 34. მოია, 36. „ბაიერი", 37. მულინი, 48. არენა, 49. რიპერი, 50. ფინკი.

**დიაგონალურად:** 4. „ბორდო", 6. სამბო, 7. დეტარი, 8. ბატსი, 9. ბრეკი, 10. ლემიე, 39. ლიბერო, 40. ზაგალო, 41. ვიერი, 44. ჰაანი, 45. იებოა, 47. ცორკი.

## მშვიდობით, „სპორტლოტო!"

**12 აპრილს გაიმართა ლატარია „სპორტლოტო 5-36"-დან გათამაშების მე-15 ტირაჟი, დაშვებული იყო 5193 ვარიანტი.**

**მოგებახვედრილი ციფრები:**

**6. 19. 13. 1. 11.**

5 ციფრი ვერავინ ამოიცნო; 4 ციფრის ამოცნობისათვის (3 ვარიანტი) — 64.90 ლარი. 3 ციფრის ამოცნობისათვის (59 ვარიანტი) — 4.40 ლარი. მოგებები განაღდდება 15 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით.

## მოყვარულთა საყურადღებოდ!

ახალი ლატარიის — „ტოტო-ლოტოს" დანერგვასთან დაკავშირებით „სპორტლოტო 5-36-დან" ტირაჟები შეწყდა 12 აპრილს, მე-15 ტირაჟის შემდეგ.

**საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი**

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი (თბილისი)



**შამათი 5 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

**1. კg8!! - ჩასაფრებით,**

**1. ...g6 2. კh7! g5 3. ე:b1X,**

**1. ...g5 2. ეf7! მფ:a2 3. ეa7X.**

1. ეc7? g6!, 1. ეd7? g5!

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე